პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 140 (10837)
შაბათი
15
ივნისი
1957 წ.

ფასი 20 კაპ.

საბჭოთა ადამიანები მიესალმებიან სსრ კავშირსა და ფინეთს შორის მეგობრობის განმტკიცებას

ამხანაგების ნ. ა. ბულგანინისა და ნ. ს. ხრუშჩოვის საზეიმო შეხვედრა მოსკოვში

ფინეთში მოგზაურობიდან სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ა. ბულგანინისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის ნ. ს. ხრუშჩოვის მოსკოვში დაბრუნება აღინიშნა მკაფიო დემონსტრაციით საბჭოთა კავშირ-ფინეთის მზარდი მეგობრობის პატივსაცემად. საბჭოთა ადამიანები ღრმა კმაყოფილებით შეხვდნენ ამ მოგზაურობის შედეგებს, მოგზაურობისა, რომელიც სსრ კავშირის სახელმწიფო მოღვაწეებმა მოახდინეს პრეზიდენტ უ. კ. კეკონენისა და ფინეთის რესპუბლიკის თავრობის მიწვევით. 50 ათასზე მეტი მოსკოველი შეიკრიბა 14 ივნისს დილით კომკავშირის მოედანზე — დედაქალაქის სამი ვაგზლის მოედანზე.

საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ალმებით მორთულ ლენინგრადის ვაგზალზე ჰელსინკი-მოსკოვის სპეციალური მატარებლის მოსვლის დროისათვის მოვიდნენ ამხანაგები ლ. მ. კაგანოვიჩი, გ. მ. მალენკოვი, ა. ი. მიკოიანი, ვ. მ. მოლოტოვი, მ. გ. პერვუხინი, მ. ზ. საბუროვი, ლ. ი. ბრეჟნევი, დ. ტ. შეპილოვი, ე. ა. ფურცევა, ა. ბ. არისტოვი, სსრ კავშირისა და რუსეთის სფსრ მინისტრები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები.

პერონზე იყვნენ სსრ კავშირში აკრედიტებული დიპლომატიური წარმომადგენლობათა მეთაურები, სსრ კავშირში ფინეთის რესპუბლიკის დროებითი საქმეთა რწმუნებული ა. ხალამაა და ფინეთის საელჩოს შემადგენლობა.

სრულ 11 საათსა და 40 წუთზე მატარებელი გაჩერდა პერონთან. ვაგონებიდან გამოდიან ამხანაგები ნ. ა. ბულგანინი, ნ. ს. ხრუშჩოვი და მათი თანმხლები პირები. ბავშვებმა მათ ყვავილების თაიგულები მიართვეს.

შემდეგ ნ. ა. ბულგანინი, ნ. ს. ხრუშჩოვი და საბჭოთა მთავრობისა და კომუნისტური პარტიის სხვა ხელმძღვანელები გამოდიან ვაგზლის შენობიდან და ადიან მოედანზე გამართულ ტრიბუნაზე. გრიალებს ტაში.

მოსკოვის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ნ. ი. ბობროვნიკოვი ხსნის ამხანაგების ნ. ს. ხრუშჩოვისა და ნ. ა. ბულგანინის შეხვედრისადმი მიძღვნილ მიტინგს. ორკესტრი ასრულებს სსრ კავშირის სახელმწიფო ჰიმნს.

სიტყვა ეძლევა ქარხანა „სერპ ი მოლოტის“ მფალცავს ამხ. ვ. ე. პლიასოვს. მიმართავს რა ამხანაგებს ნ. ს. ხრუშჩოვსა და ნ. ა. ბულგანინს, იგი ამბობს:

— დედაქალაქის მუშები, ისევე როგორც მთელი საბჭოთა ხალხი, გულმოდგინედ ადევნებდნენ თვალყურს ფინეთში თქვენს ყოფნას. გულთბილმა მიღებამ, რაც თქვენ ფინეთის რესპუბლიკის ხელმძღვანელებმა და ხალხმა მოგიწყეს, ცხადყო, რომ მეგობრობა საბჭოთა ხალხსა და ფინელ ხალხს შორის სულ უფრო იზრდება და მტკიცდება. თქვენი ვიზიტი ახალი დიდმნიშვნელოვანი წვლილია ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცების საქმეში. მოსკოვის ყველა მშრომელის სახელით დიდ მადლობას გიძღვნით თქვენ, ძვირფასო ნიკიტა სერგეს-ძევ და ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძევ, და თქვენი სახით საბჭოთა მთავრობასა და მშობლიურ კომუნისტურ პარტიას ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობის პოლიტიკის აქტიური და თანმიმდევრული განხორციელებისათვის. ჩვენი სახელმწიფოს ლენინური საგარეო პოლიტიკა სავსებით შეესაბამება საბჭოთა ადამიანების ფიქრებსა და მისწრაფებებს.

დედაქალაქის მეცნიერთა და ინტელიგენციის სახელით ამხანაგებს ნ. ს. ხრუშჩოვსა და ნ. ა. ბულგანინს მოსკოვის მიწაწყალზე დაბრუნებას ულოცავს აკადემიკოსი ა. ვ. ტოპჩიევი.

— თქვენი მოგზაურობა, — ამბობს იგი, — მკაფიოდ მოწმობს სხვადასხვა საზოგადოებრივი სისტემის მქონე სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობისა და თანამშრომლობის ლენინური იდეის განხორციელებას. თქვენმა შეხვედრებმა ფინეთის სახელმწიფოს ხელმძღვანელებთან, მუშებთან, გლეხებთან და ინტელიგენციასთან ერთხელ კიდევ დამაჯერებლად დაგვანახვა, რომ მშვიდობიანი თანაარსებობის იდეა, რომელსაც ასე თანმიმდევრულად და მტკიცედ ახორციელებენ ჩვენი სახელმწიფო, ჩვენი პარტია, გვიჩვენებს ხალხთა შორის მტკიცე მშვიდობისა და თანამშრომლობის ერთადერთ გზას.

მიკროფონთან არის პირველი საკისრის ქარხნის ახალგაზრდა მუშა ზ. ა. ხვატოვი. იგი ულოცავს ამხანაგებს ნ. ა. ბულგანინსა და ნ. ს. ხრუშჩოვს ფინეთის რესპუბლიკიდან დაბრუნებას და დედაქალაქის ახალგაზრდობის სახელით მხურვალე, გულითად სალამს უძღვნის მათ.

მიკროფონთან მიდის სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ა. ბულგანინი. მიტინგის მონაწილენი მას მქუხარე ტაშით ხვდებიან.

— ძვირფასო ამხანაგო მოსკოველებო, — ამბობს საბჭოთა მთავრობის მეთაური, — ნება მიბოძეთ უწინარეს ყოვლისა მადლობა გადაგიხადოთ გულითადი, გულთბილი შეხვედრისათვის, რომელიც თქვენ მოგვიწყეთ. მეტად სასიამოვნო იყო ისეთ კეთილ და სტუმართმოყვარე მეზობლებთან სტუმრად ყოფნა, როგორიც ფინელები არიან, მაგრამ კიდევ უფრო სასიხარულოა კვლავ შენს მშობლიურ ქვეყანაში ჩამოსვლა.

გუშინ ჩვენ დავტოვეთ ჩვენი მეგობარი ფინეთის ფარგლები, სადაც ჩვენ ვიყავით ფინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის ბატონ უ. კ. კეკონენისა და ფინეთის მთავრობის მიწვევით. ფინეთზე ჩვენ საუკეთესო მოგონებები დაგვრჩება. ჩვენი ვიზიტი ფინეთში საბჭოთა და ფინელ სახელმწიფო მოღვაწეთა ურთიერთ ვიზიტების კარგი ტრადიციების განგრძობა და შემდგომი განვითარება იყო.

ფინეთში ჩვენი გამგზავრების მიზანი, განაგრძობს ამხ. ბულგანინი, ის იყო, რომ კიდევ უფრო გაგვეფართოებინა და გაგვეღრმავებინა პირადი კონტაქტები საბჭოთა და ფინელ საზოგადო მოღვაწეებს შორის, რომ პირადად გავცნობოდით ფინელი ხალხის ცხოვრებას. ახლა, სამშობლოში რომ დაბრუნდით, ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენი ვიზიტი ფინეთში წარმატებითი იყო და გაამართლა მთელი ჩვენი იმედები.

ფინეთში ყოფნის დროს ჩვენ ვნახეთ ქალაქები ჰელსინკი, ლახტი, ტამპერე და გავეცანით ამ ქალაქების სახელმწიფო და კულტურულ დაწესებულებებსა და ზოგიერთ სამრეწველო საწარმოს. ჩვენ ვიყავით აგრეთვე სამრეწველო ცენტრებში კაიპოლასა და იამსიანკოსკში. ჩვენ ვხვდებოდით ფინეთის უბრალო ადამიანებს, მუშებს, გლეხებს, ინტელიგენციის წარმომადგენლებს.

თავისი სიტყვის დასასრულს ნ. ა. ბულგანინმა განაცხადა:

— ფინეთში ჩვენი მოგზაურობა მიმდინარეობდა განსაკუთრებული გულითადობისა და წრფელი მეგობრული გრძნობების ვითარებაში, რასაც ჩვენდამი იჩენდნენ როგორც ფინეთის ხელმძღვანელი მოღვაწეები, ისე მისი მოსახლეობა. ეს მოგზაურობა ხელს შეუწყობს ორივე ქვეყნის შემდგომი დაახლოების საქმეს და საბჭოთა ხალხსა და ფინელ ხალხს შორის მეგობრობის განმტკიცებას. ჩვენ ერთხელ კიდევ ვუჩვენეთ ყველა ქვეყანას, რომ საბჭოთა მთავრობა განუხრელად ესწრაფვის ყველა ქვეყანასთან მშვიდობასა და მეგობრობას, რომ ჩვენი სახელმწიფო მზად არის ურთიერთსაარგებლო საფუძველზე ითანამშრომლოს სხვა სახელმწიფოებთან, როგორც სახელმწიფო წყობილება განსხვავდება საბჭოთა კავშირის სახელმწიფო წყობილებისაგან.

თავისი გამოსვლა ნ. ა. ბულგანინმა შემდეგი სიტყვებით დაამთავრა:

— დაე განმტკიცდეს და აყვავდეს საბჭოთა კავშირისა და ფინეთის ხალხთა შორის მეგობრობა, რომელიც ჩრდილოეთ ევროპაში მშვიდობის დიდმნიშვნელოვანი ფაქტორია. გაუმარჯოს მთელი მსოფლიოს ხალხთა შორის მშვიდობასა და მეგობრობას!

სიტყვა ეძლევა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვს. მოედანზე კვლავ გაისმის მქუხარე ტაში.

ჩვენი მოგზაურობა ფინეთში მეტად საინტერესო და შინაარსიანი იყო, ამბობს ნ. ს. ხრუშჩოვი, ეს იყო ვიზიტი ნამდვილი მეგობრობისა, რომელიც იზრდება და მტკიცდება ჩვენს ქვეყნებს შორის და კარგი ნაყოფი მოაქვს როგორც საბჭოთა კავშირისათვის, ისე ფინეთის რესპუბლიკისათვის.

ჩვენ — საბჭოთა ხალხის წარგზავნილებს, აღნიშნავს ამხ. ხრუშჩოვი, ყველგან გვხვდებოდნენ დიდი გულითადობითა და სტუმართმოყვარეობით, გვხვდებოდნენ როგორც კეთილ მეგობრებს. ეს ნამდვილად აღმაფრთოვანებელი შეხვედრები იყო.

წარუხოცელი შთაბეჭდილება დაგვიტოვა, განაგრძობს ამხ. ხრუშჩოვი, ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის მუზეუმის ნახვამ ტამპერეში. განსაკუთრებით მოგვხიბლა იმან, რომ ფინელ მუშებს სათუთად, სიყვარულით შეუნახავთ ყველაფერი, რაც დაკავშირებულია ჩვენი დიდი ბელადისა და მასწავლებლის ვ. ი. ლენინის მოღვაწეობასთან.

სწორედ ჩვენი წამოსვლის წინ ფინეთის მთავრობამ საბჭოთა ხალხს უძღვნა № 293 ორთქლმავალი — ის ორთქლმავალი, რომლითაც ლენინი, ემალებოდა რა კერენსკის მთავრობის მხრივ დევნას, გაემგზავრა ფინეთში, ხოლო შემდეგ 1917 წლის ოქტომბერში დაბრუნდა რევოლუციურ პეტროგრადში.

მოლვაწეობით მივიღეთ ჩვენ ეს ისტორიული ორთქლმავალი. და მინდა აქ, თქვენი სახელით, მთელი საბჭოთა ხალხის სახელით გულწრფელი და ღრმა მადლობა გადავუხადო ფინეთის მთავრობასა და ხალხს ამ ფასდაუდებელი საჩუქრისათვის.

ჰელსინკში ჩვენთან მოდიოდა ბევრი მუშა, განაგრძობს ამხ. ხრუშჩოვი, რათა ჩვენი მემფეობით გადაეცა საბჭოთა კავშირის მუშებისათვის ძმური სალამის სიტყვები, გამოეთქვა სიყვარულისა და მეგობრობის გრძნობები. მარტო იმ დღეს, როცა ჩვენ ჰელსინკიდან მოვდიოდით, ჩვენთან მოვიდა ნავთობის გამსაღებელი ფირმებისა და სამი სამშენებლო ფირმის მუშათა ორი დელეგაცია. ვსაუბრობდ რა შემთხვევით, ვასრულებ ფინელ მუშათა თხოვნას და გადავცემ დედაქალაქის მუშებს, ხოლო მათი სახით ყველა საბჭოთა მუშას ფინელი მუშების ძმურ სალამს.

რაც შეეხება ჩვენს შეხვედრებს ფინეთის სახელმწიფო მოღვაწეებთან, აღნიშნავს ამხ. ხრუშჩოვი, უნდა ითქვას, რომ ეს შეხვედრები მიმდინარეობდა ურთიერთგაგების, გულახდილობისა და ნამდვილი გულითადობის სულისკვეთებით. სასიამოვნო იყო იმის დანახვა, რომ ჩვენ ქვეყნებს შორის ნამდვილად კეთილმეზობლური ურთიერთობის მტკიცე საფუძველი მუდამ მტკიცდება და ვითარდება. ჩვენ მეგობრული ურთიერთობის მოგვარებაზე როდი ვლაპარაკობდით, ასეთი ურთიერთობა უკვე არსებობს. ჩვენ იმაზე ვლაპარაკობდით, რომ ეს მეგობრობა განუწყვეტლივ ვითარდებოდეს და მტკიცდებოდეს ჩვენი ქვეყნების ხალხთა საკეთილდღეოდ, მთელ მსოფლიოში მშვიდობისათვის.

მიტინგი დამთავრებულია. კვლავ გაისმის საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნი, რომელსაც ორკესტრი ასრულებს. პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელები მანქანებში სხდებიან და კრემლისაკენ მიდიან. დედაქალაქის ქუჩებში მათ გულითადად მიესალმება ათეულ ათასობით მშრომელი.

(საკდესი).

მეგობრულ ფინეთში ნ. ა. ბულგანინისა და ნ. ს. ხრუშჩოვის ყოფნის უკანასკნელი დღე

ჰელსინკი, 13 ივნისი. (საკდესი). დღეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ა. ბულგანინმა და უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრმა ნ. ს. ხრუშჩოვმა პრეს-კონფერენცია გამართეს. პრეს-კონფერენციას დაესწრო 300-მდე ჟურნალისტი, რომლებიც წარმოადგენენ ფინეთის, საბჭოთა კავშირისა და უცხოეთის გაზეთებსა და საგენტოებს. პრეს-კონფერენციაზე გამოქვეყნდა ნ. ა. ბულგანინის განცხადება.

თქვენს ქვეყანაში ჩამოსვლა, ნათქვამია ნ. ა. ბულგანინის განცხადებაში, წარმოადგენს იმ პირადი კონტაქტების შემდგომ განვითარებას, რომლებიც ესოდენ ნაყოფიერად დამყარდა, განსაკუთრებით უკანასკნელ წლებში, სსრ კავშირისა და ფინეთის პოლიტიკურ მოღვაწეთა შორის.

ფინეთში შვიდი დღის ყოფნის დროს ჩვენ გვქონდა როგორც ოფიციალური, ისე არაოფიციალური შეხვედრები თქვენი ქვეყნის ხელმძღვანელ მოღვაწეებთან. ამ შეხვედრების დროს ჩვენ ერთმანეთს გავუზიარეთ აზრები საკითხებზე, რომლებიც ორივე მხარეს აინტერესებს. გვქონდა გულახდილი და სასარგებლო საუბრები რესპუბლიკის პრეზიდენტთან უ. კეკონენთან, აგრეთვე პრემიერ-მინისტრთან ვ. სუქსელაინენთან, საგარეო საქმეთა მინისტრთან ი. ვიროლაინენთან და ფინეთის სხვა სახელმწიფო მოღვაწეებთან, თქვენი ქვეყნის ეკონომიური და კულტურული წრეების წარმომადგენლებთან.

ჩვენზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ფინელი ხალხის შრომისმოყვარეობამ. ფინეთში მოგზაურობის შედეგად ჩვენ მივიღეთ წარმოდგენა იმ მიღწევებზე, რომლებიც ნიჭიერმა ფინელმა ხალხმა მოიპოვა მშვიდობიან შემოქმედებითს შრომაში. ჩვენ გულში მიგვაქვს ხსოვნა ფინელი ხალხის სტუმართმოყვარეობაზე, გულითად მიღებაზე, რაც ჩვენ, საბჭოთა ხალხის წარმომადგენლებს, მოგვიწყეს.

სსრ კავშირსა და ფინეთს შორის მზარდი მეგობრული ურთიერთობა, განაგრძო ნ. ა. ბულგანინმა, დამყარებულია ურთიერთპატივისცემის, სახელმწიფო სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობის, თანასწორუფლებიანობის, საშინაო საქმეებში ჩაურევლობის, ორივე ქვეყნისათვის ხელსაყრელი მშვიდობიანი პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული თანამშრომლობის კარგ პრინციპებზე.

მეგობრობისა და ნდობის ატმოსფერო, აღნიშნავს ნ. ა. ბულგანინი, რომელიც სსრ კავშირისა და ფინეთის ურთიერთობაში დამყარდა მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების 1948 წლის 6 აპრილის ხელშეკრულების მოქმედების წლებში, ქმნიდა და ქმნის ხელსაყრელ წინაპირობებს, რათა წარმატებით გადაიჭრას წარმოშობილი საკითხები — როგორც სსრ კავშირისა და ფინეთის სახელმწიფო მოღვაწეთა შორის აზრთა უშუალო გაზიარების გზით, ისე დიპლომატიური გზით.

ჩვენ გამოვიტანეთ მტკიცე რწმენა, აღნიშნულია განცხადებაში, რომ ფინელ ხალხს არა სურს ომი და გულწრფელად ესწრაფვის მშვიდობას. ფინეთი ახორციელებს მშვიდობისმოყვარულ საგარეო პოლიტიკას. ჩვენ კმაყოფილებით აღვნიშნავთ, რომ ფინეთის მთავრობა, როგორც აღნიშნულია ერთობლივ კომუნიკეში, კვლავაც იშრომებს ყოველივე იმის სასარგებლოდ, რაც ხელს უწყობს ხალხთა შორის შეთანხმების მიღწევას, მათს დაახლოებას და საერთაშორისო ურთიერთობაში წინააღმდეგობათა თავიდან აცილებას.

საბჭოთა კავშირის მთავრობა, ნათქვამია ნ. ა. ბულგანინის განცხადებაში, იმ აზრისა არის, რომ ევროპაში მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცების ინტერესებს შეესაბამება სრულიად ევროპის უშიშროების სისტემის შექმნა, რომელშიც მონაწილეობას მიიღებდა ევროპის ყველა სახელმწიფო, მიუხედავად მათი საზოგადოებრივი წყობილებისა... სრულიად ევროპის უშიშროების სისტემის შექმნამდე ევროპის მშვიდობის უზრუნველყოფის ინტერესებს შეესაბამება ნატოს მონაწილე სახელმწიფოთა და ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა შორის სათანადო შეთანხმების დადება, რომლითაც ისინი იკისრებდნენ ვალდებულებას მთელი უთანხმოებანი, რომლებიც შეიძლება მათ შორის წარმოიშვას, გადაჭრან მხოლოდ მშვიდობიანი საშუალებით, მოლაპარაკების გზით.

ამასთან დაკავშირებით ნ. ა. ბულგანინმა თავის განცხადებაში აღნიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ საბჭოთა კავშირ-ფინეთის ერთობლივ კომუნიკეში ნათქვამია, რომ ფინეთი არ შედის დიდ სახელმწიფოთა არც ერთ თანამედროვე დაჯგუფებაში და იმედი აქვს, რომ ამ დაჯგუფებათა შორის მიღწეულ იქნება შეთანხმება ევროპის მტკიცე და ხანგრძლივი მშვიდობის უზრუნველყოფის შესახებ.

ნ. ა. ბულგანინმა განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირის მთავრობა მუდამ განიხილავდა, როგორც ერთ-ერთ თავის დიდმნიშვნელოვან ამოცანას, მტკიცე მშვიდობის უზრუნველყოფას ჩრდილოეთ ევროპაში.

ჩვენ არ ვმალავთ, — ნათქვამია განცხადებაში, — რომ სერიოზულ მნიშვნელობას ვანიჭებთ სკანდინავიის ქვეყნებთან ურთიერთგაგების მიღწევას. საბჭოთა კავშირის მთავრობას მიაჩნია, რომ სასარგებლო იქნებოდა განგვეგრძო სსრ კავშირსა და ამ ქვეყნებს შორის მშვიდობიანი თანამშრომლობის ურთიერთმისაღები ფორმების ერთობლივი ძიება. საბჭოთა კავშირი მზად არის ჩრდილოეთის ქვეყნებთან განავითაროს ყოველმხრივი მეგობრული ურთიერთობა, რომელიც ემყარება სახელმწიფო სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობის ურთიერთ პატივისცემის, თანასწორუფლებიანობის, საშინაო საქმეებში ჩაურევლობის და ურთიერთ სარგებლობის პრინციპებს. ნ. ა. ბულგანინმა იმედი გამოთქვა, რომ სკანდინავიის ყველა ქვეყანაში აგრეთვე გაიმარჯვებს საღი პოლიტიკა, რომელიც ნაკარნახევია არა ვიწრო წარმავალი მოსაზრებებით, არამედ ხალხთა ძირეული ინტერესებით, რომლებიც ისწრაფვიან მშვიდობით და მეგობრულად იცხოვრონ ერთმანეთთან.

გამალებული შეიარაღება, რაც ამჟამად ხორციელდება, მასობრივი მოსპობის საშუალებათა წარმოება და დაგროვება, რაც გრძელდება, — განაცხადა ნ. ა. ბულგანინმა, — საფრთხეს უქმნის მშვიდობას, მძიმე ტვირთად აწვება მშრომელებს, ართულებს ქვეყნებს შორის ურთიერთობას. ამ პირობებში შეიარაღების შემცირება, ატომური და წყალბადის იარაღის სრული და უთუო აკრძალვა წარმოადგენს გადაუდებელ ამოცანას, რომელიც ახლა დგას სახელმწიფოთა წინაშე და, პირველ რიგში, დიდ სახელმწიფოთა წინაშე.

დასასრულ ნ. ა. ბულგანინმა აღნიშნა, რომ შეხვედრებისა და საუბრების დროს, რომლებიც ჰელსინკში წარმოებდა, წარმატებით გადაიჭრა სსრ კავშირსა და ფინეთს შორის ეკონომიური და კულტურული ურთიერთობის საკითხები.

ჩვენ ფინეთს ვტოვებთ, ნათქვამია ნ. ა. ბულგანინის განცხადების დასკვნითს ნაწილში, საუკეთესო შთაბეჭდილებებით და გულწრფელად ვუსურვებთ ფინელ ხალხს შემდგომ აყვავებასა და კეთილდღეობას.

ნ. ა. ბულგანინის განცხადების გამოქვეყნების შემდეგ პრეს-კონფერენციაზე გამოვიდა ნ. ს. ხრუშჩოვი.

ნ. ს. ხრუშჩოვმა თქვა, რომ მას და ნ. ა. ბულგანინს ფინეთში ყოფნის დროს პრესის წარმომადგენლებმა გამოუგზავნეს მთელი რიგი კითხვები, რომლებიც ეხება საერთაშორისო ვითარებას და მათ შორის საკითხებს, რომლებიც ეხება განიარაღების პრობლემას. ჩვენ, თქვა მან, საჭიროდ მიგვიჩნია ამ კითხვებზე გავცეთ პასუხი, მით უმეტეს, რომ ბევრი ამათგანი დიდად აღელვებს ყველა ხალხს.

განიარაღების პრობლემის გადაჭრა შეიძლება მხოლოდ სახელმწიფოთა ურთიერთობაში ნდობის პირობებით. ეს, უწინარეს ყოვლისა, ეხება დიდ სახელმწიფოებს, რომლებსაც ჰყავთ ყველაზე ძლიერი შეიარაღებული ძალები და თავიანთ შეიარაღებაში აქვთ ატომგულის იარაღი.

ამბობენ, განაგრძო ნ. ს. ხრუშჩოვმა, საქმეს შეიძლება უშველოს კონტროლმა, რომელიც თავიდან აგვაცილებდა ყველა სიძნელესო. ჩვენ არაერთხელ გამოგვითქვამს ჩვენი დამოკიდებულება კონტროლის საკითხისადმი, და საბჭოთა კავშირის პოზიცია ამ საკითხში კარგად არის ცნობილი. მაგრამ, თუ არც თავს მოვიტყუებთ და არც სხვას მოვატყუებთ, უნდა ვაღიაროთ, რომ ვერავითარი კონტროლი ვერ წყვეტს საკითხს, რადგან, ჯერ-ერთი, კონტროლს არ შეუძლია თავიდან აგვაცილოს ამა თუ იმ სახელმწიფოს მიერ აგრესიის მომზადება, თუ იგი მოისურვებს დაარტყას სხვა სახელმწიფოს. უკვე დიდი ხანია ყველა დაეთანხმა იმას, რომ არავითარ კონტროლს არ შეუძლია აღმოაჩინოს დამალული ატომური და წყალბადის იარაღი ან ამ იარაღის ფარული წარმოება. მეორე, გულახდილად რომ ვთქვათ, უნდა ვაღიაროთ, რომ კონტროლის ყველაზე თავგამოდებული დამცველნიც კი არსებითად არ მალავენ, რომ ერთია კონტროლისათვის ბრძოლა და სულ სხვაა უცხოელი კონტროლიორების დაშვება თავის ქარხნებსა და ფაბრიკებში, თავის აეროდრომებზე და სამხედრო არსენალებში.

ამ მხრივ საინტერესოა ბედი პრეზიდენტ ეიზენჰაუერის ცნობილი წინადადებისა „ღია ცის“ შესახებ. პრეზიდენტ ეიზენჰაუერისადმი მთელი პატივისცემის მიუხედავად ჩვენ თავიდანვე განვაცხადეთ, რომ ეს „ღია ცა“ არაფერს არ იძლევა და რომ მას შეუძლია მხოლოდ გააძლიეროს ერთი სახელმწიფოს ეჭვიანობა მეორის მიმართ. ამას სულ უფრო ხვდებიან ამერიკის შეერთებულ შტატებშიც, რადგან მხოლოდ ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ მას შემდეგ, რაც წამოაყენეს ახალი ცნობილი წინადადებანი აეროფოტოგადაღების ზონის შესახებ ევროპაში, აგრეთვე რაიონში: საბჭოთა შორეული აღმოსავლეთი-ალასკა-ამერიკის შეერთებული შტატების დასავლეთი ნაწილი, გამოირკვა, რომ ამერიკელებს მაინცდამაინც არ მოსწონთ ეს წინადადებები.

რას გვეუბნება ყოველივე ეს? ყოველივე ეს გვეუბნება, რომ თუ არ შევუდგებით სიტყვებით თამაშს და არ გავაჭიანურებთ განიარაღების შესახებ მოლაპარაკებას, რომელიც დაახლოებით უკვე 12 წელიწადია გრძელდება, უნდა დავეთანხმოთ იმას, რომ მოლაპარაკება კონტროლის, როგორც განიარაღების პირობის შესახებ ფიქტიურად წარმოადგენს გამალებული შეიარაღების გაგრძელებისათვის ნაკარაუდევი გეგმის შენიღბვას.

საჭირო ნდობა სახელმწიფოებს შორის, — ამბობს ნ. ს. ხრუშჩოვი, — და უამისოდ ჩვენ ვერ გადავწყვეტთ განიარაღების პრობლემას. პირობები ასეთი ნდობის შექმნისათვის არის, საჭიროა მხოლოდ მათი გამოყენება. ახლა ყველა ითვალისწინებს, რომ ატომური ომი საშინელი უბედურება იქნებოდა კაცობრიობისათვის. ხოლო ეს იმას ნიშნავს, რომ ამერიკის შეერთებული შტატებიც, საბჭოთა კავშირიც, ინგლისიც, საფრანგეთიც, ყველა სხვა სახელმწიფო — დიდიც და პატარაც—უნდა დათანხმდნენ, თუ მათ არა სურთ დაადგნენ ავანტიურიზმის საშიშ გზას, რომ ერთად-ერთი გამოსავალია თანაარსებობა, მშვიდობიანი თანაარსებობა სახელმწიფოებისა, განურჩევლად მათი საზოგადოებრივი წყობილებისა. ეს იმას ნიშნავს, რომ საჭიროა შევთანხმდეთ მშვიდობის დაცვის გადაუდებელ საკითხებზე, საჭიროა საბოლოოდ ჩავაბარეთ არქივს „ცივი ომის“ პოლიტიკა, სასურველია ამ პოლიტიკის ყველაზე თავგამოდებულ ინიციატორებთან ერთად.

შემდეგ ნ. ს. ხრუშჩოვმა აღნიშნა, რომ განიარაღების ზოგიერთი საკითხი შეიძლება გადაიჭრას დაუყოვნებლივ. ერთ-ერთი მათგანია ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდის შეწყვეტის საკითხი.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, — თქვა მან, — რომ ისინი, ვინც ეწინააღმდეგება ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდის შეწყვეტას, ახორციელებენ ბეც პოლიტიკას, რომელიც ზიანს აყენებს მსოფლიოს ყველა ქვეყანას და არანაკლებ დასავლეთის სახელმწიფოებს.

* * *

დღეს ჰელსინკში საზეიმო ვითარებაში ფინეთის მთავრობამ საბჭოთა კავშირს საჩუქრად გადასცა ორთქლმავალი № 293. ამ ორთქლმავლით ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი, რომელიც ემალებოდა დროებითი მთავრობის მაძებრებს, 1917 წლის აგვისტოში, მეცეცხლურად გადაცმული, გადავიდა ფინეთში, ხოლო 1917 წლის ოქტომბერში ფინეთიდან გაემგზავრა პეტროგრადში.

ფინეთის მთავრობის სახელით ორთქლმავალი № 293 გადასცა პრემიერ-მინისტრმა ვ. ი. სუქსელაინენმა. საბჭოთა მთავრობის სახელით ორთქლმავალი მიიღეს ნ. ა. ბულგანინმა და ნ. ს. ხრუშჩოვმა. ორთქლმავლის გადაცემის ცერემონიის დროს ვ. ი. სუქსელაინენმა და ნ. ს. ხრუშჩოვმა სიტყვებით მიმართეს ერთმანეთს.

* * *

დღეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ა. ბულგანინი და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი ნ. ს. ხრუშჩოვი, რომლებიც აქ იმყოფებოდნენ ფინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტისა და მთავრობის მოწვევით, სამშობლოში გაემგზავრნენ. ნ. ა. ბულგანინთან და ნ. ს. ხრუშჩოვთან ერთად გაემგზავრნენ პირები, რომლებიც მათ ახლდნენ ფინეთში მოგზაურობისას.

ჰელსინკის მთავარ ვაგზალში, რომელიც მორთული იყო სსრ კავშირისა და ფინეთის სახელმწიფო ალმებით, ნ. ა. ბულგანინი და ნ. ს. ხრუშჩოვი გაიცილეს ფინეთის პარლამენტის თავმჯდომარემ კ.-ა. ფაგერჰოლმმა, მთავრობის წევრებმა პრემიერ-მინისტრის ვ. ი. სუქსელაინენის მეთაურობით და სხვა ოფიციალურმა პირებმა, საბჭოთა საელჩოს დიპლომატიურმა შემადგენლობამ. ბაქანზე საბჭოთა სტუმრების გამგზავრების გამო ჩამწკრივებული იყო ქალაქ ჰელსინკის გარნიზონის საპატიო ყარაული.

ვაგზალში სიტყვა წარმოთქვა ნ. ა. ბულგანინმა.

ჩემი სახელით, ნ. ს. ხრუშჩოვისა და ჩვენი თანმხლები პირების სახელით, თქვა მან, — მინდა გულითადი მადლობა გადაგიხადოთ გულთბილობისა და სტუმართმოყვარეობისათვის.

ყველაზე მთავარი დასკვნა, განაგრძო ნ. ა. ბულგანინმა, რომელიც ჩვენ გავაკეთეთ თქვენი ქვეყნის ამ გაცნობიდან, შეგვიძლია გამოვთქვათ ოთხი სიტყვით „ფინელი ხალხი ჩვენი მეგობარია“.

აზრთა გაცვლა პოლიტიკურ, ეკონომიურ და კულტურულ საკითხებზე, რაც ჩვენ გვქონდა ფინეთის ხელმძღვანელ მოღვაწეებთან, იყო მეტად სასარგებლო და ნაყოფიერი, რაც გამოხატულია დღეს გამოქვეყნებულ ერთობლივ კომუნიკეში. ორივე მთავრობის დელეგაციებმა კმაყოფილებით აღნიშნეს ჩვენს ქვეყნებს შორის ურთიერთობის უაღრესად კეთილნაყოფიერი განვითარება ურთიერთპატივისცემის, ნდობისა და ურთიერთგაგების საფუძველზე. გამოითქვა ორივე მხარის მტკიცე განზრახვა კვლავაც განავითარონ კარგი და მეგობრული ურთიერთობა ჩვენს ქვეყნებს შორის საბჭოთა კავშირ-ფინეთის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულების შესაბამისად.

ნება მიბოძეთ, — ამბობს დასასრულ ნ. ა. ბულგანინი, — ერთხელ კიდევ სულით და გულით მადლობა გიძღვნათ თქვენი გულითადი სტუმართმოყვარეობისათვის და ვუსურვო წარმატებანი თქვენს ქვეყანას და ბედნიერი ცხოვრება მის შრომისმოყვარე, ნიჭიერ ხალხს.

გაუმარჯოს ფინეთსა და საბჭოთა კავშირს შორის მტკიცე, ურღვევ მეგობრობას!

ახალ შეხვედრამდე, მეგობრებო!

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. ი. ნ. ლალიძის საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის მინისტრად დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს ამხ. ილია ნიკიფორეს-ძე ლალიძე საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის მინისტრად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. ჩუბინიძე
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. გელდიაშვილი

ქ. თბილისი, 1957 წ. 14 ივნისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. გ. ს. ქოგულიას საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის მინისტრის თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ

განთავისუფლდეს ამხ. გიორგი ს

შეწყდეს ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდა!

მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტისა და მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მოთხოვნა ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდის შეწყვეტის შესახებ მხურვალე გამოხმაურებას და მხარდაჭერას პოულობს საქართველოს მშრომელთა შორის.

★ ★ ★

მშვიდობისათვის, ხალხთა გედნიერებისათვის

თბილისის 26 კომისრის სახელობის სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებელ ქარხანაში შედგა ხალხმრავალი მიტინგი, რომელზეც განიხილეს მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტისა და მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მოწოდება ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდის შეწყვეტის შესახებ.

ტრიბუნაზეა ნოვატორი მჭედელი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ვ. კორძაძე.

— ჩვენი ქარხნის ადამიანები, რომლებიც თავდადებით იბრძვიან პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა პრაქტიკულად განხორციელებისათვის, მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად მხურვალედ უჭერენ მხარს მსოფლიოს ხალხების კეთილშობილურ და სამართლიან მოთხოვნას ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდის აკრძალვის შესახებ. მე, როგორც საბჭოთა მოქალაქე, მოვითხოვ, რომ ატომის ენერგია მოხმარდეს მხოლოდ და მხოლოდ ადამიანის კეთილდღეობის საქმეს, ხალხთა ბედნიერების საქმეს.

ქარხნის მოწინავე ზეინკალი ს. ჭოხონელიძე ლაპარაკობს საბჭოთა მთავრობის მშვიდობისმოყვარე ლენინური საგარეო პოლიტიკის შესახებ. მანქანათმშენებლები, — განაცხადა მან,—მხურვალედ უჭერენ მხარს საბჭოთა მთავრობის ღონისძიებებს, რომელთა მიზანია ატომური იარაღის გამოცდის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების მიღწევა სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდ ბრიტანეთის მთავრობებს შორის.

პატრიოტული სიტყვა წარმოთქვა ზეინკალმა ნ. სატელნიკოვმა.

— ჩვენ არ შეგვიძლია გულდამშვიდებით ვუცქიროთ ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდას. გადაჭრით მოვითხოვთ ატომური იარაღის გამოცდის დაუყოვნებლივ შეწყვეტას. მანქანათმშენებლები პირობას ვიძლევით შემდგომშიც თავდადებული შრომით განვამტკიცოთ ჩვენი სოციალისტური სამშობლო — მსოფლიოს მშვიდობის ურყევი ბურჯი.

ქუთაისის საწარმოებში

ქუთაისის მშრომელები მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად მხურვალედ გამოეხმაურნენ მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ბიუროს ბერლინის მოწოდებას და მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტის განცხადებას ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდის დაუყოვნებლივ შეწყვეტის შესახებ.

ქალაქის საწარმო-დაწესებულებებში და ახალმშენებლობებზე იმართება ხალხმრავალი მიტინგები, რომლებზეც მუშა-მოსამსახურეები და ინჟინერ-ტექნიკოსები მთელი ხალხის სახელით გამოთქვამენ თავიანთ მზადყოფნას დაიცვან მშვიდობის დიდი საქმე.

ქუთაისის ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის მთავარი კონვეიერის კორპუსში გამართულ მიტინგზე სიტყვით გამოსულმა ამხ. კომალეიშვილმა განაცხადა:

— ქუთაისელი ავტომობილმშენებლები ყველა საბჭოთა ადამიანთან ერთად ერთსულოვნად ვუჭერთ მხარს მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ბიუროს ბერლინის მოწოდებას და მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტის განცხადებას ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდის დაუყოვნებლივ შეწყვეტის შესახებ. ჩვენი სურვილი და მშვიდობისადმი დაუცხრომელი მისწრაფება გამოხატულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეშვიდე სესიის მიმართვაში ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესისა და დიდი ბრიტანეთის პარლამენტისადმი. საბჭოთა ადამიანები ვამაყობთ იმით, რომ ჩვენი დიადი სამშობლო სათავეში უდგას მშვიდობისათვის ბრძოლას.

ხალხმრავალი მიტინგები გაიმართა აგრეთვე კიროვის სახელობის სამკერვალო ფაბრიკაში, რკინიგზის კვანძზე და სხვა საწარმოებში. მიტინგებზე მიღებულ რეზოლუციებში მუშა-მოსამსახურეები ერთსულოვნად იწონებენ საბჭოთა მთავრობის სამშვიდობო პოლიტიკას, მოითხოვენ, რომ მსოფლიოს ყველა დიდმა სახელმწიფომ დაუყოვნებლივ შეწყვიტოს ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდა. („კომუნისტის“ კორ.).

გულთბილი შეხვედრა ძველ ბოლშევიკებთან

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის კლუბი სავსე იყო პროფესორ-მასწავლებლებითა და სტუდენტებით. აქ საქართველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების თბილისის საქალაქო განყოფილებამ გამართა შეხვედრა ძველ ბოლშევიკებთან, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ღვაწლმოსილ მონაწილეებთან.

ძველი ბოლშევიკების დ. სულიაშვილის, ა. ზაკომოლდინის, გ. მჟავანაძის, მ. სირაძის, დ. მშვენიერაძის, ი. ფრანგულიანის, მ. ივანიშვილის და შ. ცაგარეიშვილის გამოჩენამ დარბაზში მქუხარე ტაში გამოიწვია. ძველი ბოლშევიკების პატივსაცემად გამართული საზეიმო სხდომა შესავალი სიტყვით გახსნა ინსტიტუტის ლექტორთა ჯგუფის თავმჯდომარემ ქ. ანთაძემ. მისასალმებელ სიტყვაში ინსტიტუტის პარტიული კომიტეტის მდივანმა ნ. რამიშვილმა დამსწრეებს გააცნო ძველი ბოლშევიკები, აღნიშნა მათი ღვაწლი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების საქმეში. ინსტიტუტის სტუდენტთა სახელით მისასალმებელი სიტყვით გამოვიდა მექანიზაციის ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტი ბ. ცისკარიძე.

საზეიმო სხდომაზე სტუმრებიდან მოგონებებით გამოვიდნენ მწერალი დ. სულიაშვილი, ა. ზაკომოლდინი, პროფესორები გ. მჟავანაძე და დ. მშვენიერაძე. მათ დამსწრეებს თვალწინ გადაუშალეს საბჭოთა ქვეყნის რევოლუციური წარსული, საუკეთესო ადამიანთა თავგანწირული ბრძოლა უკეთესი მომავლისათვის, მოიგონეს ვ. ი. ლენინთან და ი. ბ. სტალინთან შეხვედრის ეპიზოდები.

საზეიმო სხდომის დასასრულს მასპინძლებმა კეთილი სურვილები და თაიგულები უძღვნეს სტუმრებს.

შემდეგ ნაჩვენები იყო კინოფილმი „ვ. ი. ლენინი“.

წიგნი საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის შესახებ

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობამ რუსულ ენაზე გამოაქვეყნა „საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევები“, ნაწილი I (1883-1921 წწ.). წიგნი გამოვიდა ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატის ვ. ესაიაშვილის საერთო რედაქციით. შრომა მომზადებულია სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის მიერ. მის შედგენაში მონაწილეობდა ავტორთა ჯგუფი.

„ნარკვევები“ წარმოადგენს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ერთ-ერთი უძველესი ძებრძოლი რაზმის — საქართველოს პარტიული ორგანიზაციის ისტორიის სისტემატურ გადმოცემას.

„ნარკვევების“ პირველ ნაწილში გადმოცემულია საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორია მარქსიზმის გავრცელებისათვის ბრძოლის დასაწყისიდან საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე. ინსტიტუტის ფილიალს განზრახული აქვს გამოსცეს „ნარკვევების“ მეორე ნაწილი, რომელიც გადმოგვცემს საქართველოში კომუნისტური პარტიის ისტორიის ძირითად ეტაპებს 1921 წლიდან ჩვენს დრომდე.

წიგნი შედგება 8 თავისაგან, რომლებიც თავის მხრივ ქვეთავებად იყოფა. პირველი თავი გვაცნობს საქართველოში მარქსიზმის გავრცელებისა და პირველი სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების შექმნის პერიოდს, რომელიც 1883-1900 წლებს მოიცავს. საქართველოში ამ დროს აღმოცენდა თანამედროვე სამრეწველო პროლეტარიატი და დაიწყო მუშათა პირველი გამოსვლები. ამავე პერიოდში, პირველი მარქსისტული ორგანიზაციების შექმნამდე გავრცელდა მარქსიზმის კლასიკოსების ნაშრომები. წიგნში აღნიშნულია „მესამე დასის“ ჯგუფის დიდი დამსახურება საქართველოში მარქსიზმის გავრცელებისა და სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის თეორიული მომზადების საქმეში, რუსი სოციალ-დემოკრატების განმათავისუფლებელი იდეების გავლენა ქართველი მარქსისტების პოლიტიკურ შეხედულებათა ჩამოყალიბებაზე.



მეორე თავში მოთხრობილია საქართველოს სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების შესახებ რსდმპ და ბოლშევიზმის როგორც პოლიტიკური პარტიის შექმნის პერიოდში, 1901-1904 წლებში საქართველოში დაიწყო რევოლუციური მოძრაობის აღმავლობა, იქმნებოდა ლენინურ-ისკრული მიმართულების სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები, გამოსვლა იწყო ამიერკავკასიის პირველმა არალეგალურმა სოციალ-დემოკრატიულმა გაზეთმა „ბრძოლამ“. კავკასიის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების I ყრილობაზე შეიქმნა რსდმპ კავკასიის კავშირი.

ნაშრომის მესამე თავში აღწერილია საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციების საქმიანობა რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდში, ამ ორგანიზაციების ბრძოლა პარტიის III ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის, დეკემბრის შეიარაღებული აჯანყება საქართველოში.

საქართველოს ბოლშევიკებმა რეაქციის წლებში, ნაკლები რეპრესიების მიუხედავად, შესძლეს ორგანიზებულად უკანდახევა, არალეგალური ორგანიზაციების შენარჩუნება, მუშაობის ლეგალური ფორმების გამოყენება, მენშევიკ-ლიკვიდატორთა წინააღმდეგ ბრძოლა. ყოველივე ამის შესახებ მოთხრობილია „ნარკვევების“ მეოთხე თავში.

მომდევნო მეხუთე თავი დათმობილი აქვს საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციების მუშაობას რევოლუციის აღმავლობის წლებში, მათს წარმატებებს ლეგალურ ორგანიზაციებში, ბრძოლას მენშევიკების ნაციონალისტური თეორიების წინააღმდეგ.

მსოფლიო იმპერიალისტური ომისა და რუსეთის მეორე რევოლუციის პერიოდში საქართველოს ბოლშევიკების საქმიანობა, მათ მიერ ომის, ზავისა და რევოლუციის საკითხებში ლენინური თეორიისა და ტაქტიკის დაცვისა და განხორციელებისათვის ბრძოლა აღწერილია „ნარკვევების“ მეექვსე თავში.

მეშვიდე თავი გადმოგვცემს მდგომარეობას საქართველოში თებერვლის რევოლუციის შემდეგ, საქართველოს ბოლშევიკების მუშაობას დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მომზადებისა და გატარების პერიოდში.

და, ბოლოს, წიგნის მერვე თავში ვეცნობით საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციების მოღვაწეობას უცხოეთის სამხედრო ინტერვენციისა და სამოქალაქო ომის წლებში.

„საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევების“ გამოცემა ღირსშესანიშნავი მოვლენაა. წიგნი დიდ დახმარებას გაუწევს საქართველოს კომუნისტებს პარტიის ისტორიის შესწავლის საქმეში.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის აღსანიშნავად

★

მანქანათმშენებლები — მოწინავეთა რიგებში

ქუთაისის სამთო მანქანათმშენებელი ქარხნის კოლექტივმა განვლილი 5 თვის მუშაობის მიხედვით ქუთაისის საწარმოთა შორის მოწინავე ადგილი დაიკავა. საერთო პროდუქციის გამოშვების ხუთი თვის დავალება მანქანათმშენებლებმა ვადაზე რამდენიმე დღით ადრე 100,4 პროცენტით გაანაღდეს და პროდუქციის გამოშვების მოცულობა გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 13,6 პროცენტით გაადიდეს.

საწარმოო წარმატებათა მოპოვება მანქანათმშენებლებს გაუადვილა შრომატევადი პროცესების მექანიზაციამ, ახალი ტექნიკისა და მოწინავე ტექნოლოგიის წარმოებაში დანერგვამ, რამაც გამოიწვია შრომის ნაყოფიერების მკვეთრი ზრდა გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით. ამასთან საწარმოო დავალებათა გადაჭარბებით შესრულება უზრუნველყო სოციალისტური შეჯიბრების მასობრივად გაშლამ, მისდამი ხელმძღვანელობის გაუმჯობესებამ.

საამქროთა შორის სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდნენ ლითონკონსტრუქციებისა და სარემონტო-მექანიკური საამქროების კოლექტივები, რომლებსაც მიკუთვნებული აქვთ საქარხნო გარდამავალი დროშები.

ბ. პოლიაკი.

აბრეშუმის პარკის მაღალი მოსავალი

ქუთაისის საგრენაჟო ქარხანას პირველმა ჩააბარა აბრეშუმის პარკი წყალტუბოს რაიონის სოფელ ფარცხანაყანევის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მეაბრეშუმემ თამარ მესხიშვილმა, 6 გრამი აბრეშუმის ჭიიდან, ნაცვლად 28 კილოგრამისა, მან ქარხანას ჩააბარა 45,6 კილოგრამი პირველი ხარისხის აბრეშუმის პარკი და გეგმა 161 პროცენტით შეასრულა.

საგრენაჟო ქარხანას აბრეშუმის პარკი ჩააბარეს სოფელ ფარცხანაყანევის ყდანოვის სახელობის კოლმეურნეობის მეაბრეშუმეებმა ოლგა კიკვაძემ და ყენია ლაღაძემ. პირველმა მათგანმა 3,5 გრამი აბრეშუმის ჭიიდან, ნაცვლად 16,4 კილოგრამისა, ქარხანას ჩააბარა 26,6 კილოგრამი აბრეშუმის პარკი და გეგმა 140 პროცენტით შეასრულა, ხოლო მეორემ 3 გრამი აბრეშუმის ჭიიდან ჩააბარა 22,6 კილოგრამი პარკი, მაშინ როცა გეგმით 14 კილოგრამი აბრეშუმის პარკი უნდა ჩაებარებინა, და გეგმა 145 პროცენტით შეასრულა. ფარცხანაყანევის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრმა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა მარგალიტა კიკვაძემ ქუთაისის საგრენაჟო ქარხანას 7,5 გრამი აბრეშუმის ჭიიდან, ნაცვლად 35,4 კილოგრამისა, 48 კილოგრამი მაღალი ხარისხის აბრეშუმის პარკი ჩააბარა, რითაც გეგმა 135 პროცენტით შეასრულა.

აღსანიშნავია, რომ ზემოაღნიშნულმა მეაბრეშუმეებმა, ნაცვლად 35 დღისა, აბრეშუმის ჭიის გამოკვება 26 დღეში დაამთავრეს.

დ. გაბრიაძე,
რაიონული გაზეთის „ახალი წყალტუბოს“ რედაქტორი.



თბილისი. კამოს სახელობის სამსხმელო - მექანიკურ ქარხანაში შეუდგენენ სახარატო ჩარხებისათვის საჭირო გაუმჯობესებული ტიპის სიჩქარეთა უუთების აწყობას. **სურათზე:** ამწყობი ზეინკლები ს. გავრილოვი (მარცხნივ) და ს. ახვერდოვი მუშაობენ პირველი საჩარხე სიჩქარეთა უუთის აწყობაზე.

ფოტო შ. გოქაძისა.

☆

გათუმელი მკერავები სიტყვას შეასრულებენ

ბათუმის სამკერვალო ფაბრიკის კოლექტივი მხურვალე მოწონებით შეხვდა კანონს მრეწველობისა და მშენებლობის მართვის ორგანიზაციის შემდგომი სრულყოფის შესახებ. ბათუმელ მკერავებს მიაჩნიათ, რომ ამ კანონის განხორციელება ძირფესვიანად გაუმჯობესებს მრეწველობის მუშაკებისა და მშენებლების საქმიანობას, მოსპობს წარმოების შემდგომი სწრაფი განვითარების ისეთ შემაფერხებელ მიზეზებს, როგორიც არის უწყებრივი ბარიერები, საწარმოებიდან ხელმძღვანელობის დამორება, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების საქმის მოუწესრიგებლობა და ა. შ.

ბათუმის სამკერვალო ფაბრიკა საწარმოო გეგმით გათვალისწინებული მზა პროდუქციის გამოსაშვებად საჭირო ქსოვილებს იღებდა არა საქართველოს საფეიქრო საწარმოებიდან, არამედ მოსკოვიდან, ლენინგრადიდან, ივანოვოდან, ორეხოვო-ზუევოდან. რასაკვირველია, ეს დიდად ართულებდა ფაბრიკის მუშაობას, საჭიროს ხდიდა წარმომადგენელთა ხშირ მივლინებებს, რომ ქსოვილების მიღება დაგვეჩქარებინა, რათა ფაბრიკა არ გაცდენილიყო.

ამავე დროს თვითონ ჩვენი რესპუბლიკის საფეიქრო საწარმოებს — გორის ბამბის ქსოვილების კომბინატს, თბილისის მაუდ-კამოლის კომბინატს და აბრეშუმსაქსოვ ფაბრიკას, ქუთაისის აბრეშუმის კომბინატს და მაუდის ფაბრიკას სავსებით შეეძლოთ დაეკმაყოფილებინათ ფაბრიკის მოთხოვნილება სათანადო ასორტიმენტის ქსოვილებით. ჩვენს მუშებსა და ინჟინერ-ტექნიკოსებს იმედი აქვთ, რომ საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭო ამ საკითხებს საბოლოოდ მოაწესრიგებს, სამკერვალო საწარმოთა მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების საქმეს მოკლე დროში მოაგვარებს.

მრეწველობისა და მშენებლობის მართვის ორგანიზაციის შემდგომი სრულყოფის შესახებ ახალი კანონის გამოსვლას ჩვენი ფაბრიკის კოლექტივი ხელცარიელი როდი შეხვდა. განვლილი ხუთი თვის გეგმა შესრულებულია და გეგმის გადამეტებით გამოშვებულია საგრძნობი რაოდენობის შეკერილი ტანსაცმელი. მაგრამ ამასთან ბათუმელ მკერავებს არ ავიწყდებათ, რომ წელს მათ უაღრესად პასუხსაგები ვალდებულებები აქვთ შესასრულებელი, რომ მათი მთავარი მიზანია 1957 წლის საწარმოო გეგმა გაანაღდონ 24 დეკემბრისათვის, პირველწარისხოვანი მზა პროდუქციის გამოშვება გაადიდონ 5,5 პროცენტით და ქსოვილების გამოვრის ტექნიკის გაუმჯობესებით მიაღწიონ 15.000 მეტრი სხვადასხვა ქსოვილის ეკონომიას.

ამ ვალდებულებათა განაღდება საუკეთესო მაჩვენებლებით ბათუმელი მკერავების ღირსეული წვლილი იქნება ჩვენი დიადი სამშობლოს სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის ბრძოლაში, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის აღსანიშნავად.

ბათუმელი მკერავები უთუოდ შეასრულებენ თავიანთ სიტყვას.

ა. ლოარია,
ბათუმის სამკერვალო ფაბრიკის დირექტორი.

დაიწყო ხორბლის გაყოფით (ორ ფაზად) აღება

ლაგოდეხი, 13 ივნისი. (**ტელეფონით**). სოფელ ულიახოვკის მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობაში წელს პირველად დაიწყეს ხორბლის აღება პროგრესული წესით — გაყოფით (ორ ფაზად).

ამ სამუშაოს რაიონში პირველი შეუდგა ლაგოდეხის მანქანა-ტრაქტორთა სადგურის კომბაინერი ალექსანდრე ბაგაევი. მან ლაფეტიანი სამკალი მანქანით პირველ დღეებში ორ ფაზად აიღო 35 ჰექტარი ხორბალი.

★



13 ივნისი

ბალის რაიონი

ბუცა შამათავამ სოფელ ოქუმის ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში მოკრიფა 80 კილოგრამი ჩაის ფოთოლი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 25 კილოგრამისა. სულ კი 1.600 კილოგრამი. იგი იბრძვის მოსავლელად მიჩენილ 1 ჰექტარზე 8.000 კილოგრამი ნედლეულის მიღებისათვის.

ნათელა ყალიჩავა მუშაობს სოფელ აჩიგვარის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობაში და მოკრიფა 70 კილოგრამი ჩაი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 25 კილოგრამისა. მისი ვალდებულებაა 0,5 ჰექტარზე მოკრიფოს 6.000 კილოგრამი ფოთოლი. ვალდებულების ანგარიშში უკვე მოკრეფილი აქვს 1.900 კილოგრამი ჩაი.

იმენა ბულიხკერია სოფელ ოქუმის ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში ფოთლის კრეფის დაწყების პირველ დღიდანვე დაწინაურდა. მოკრიფა 90 კილოგრამი ჩაის ფოთოლი და ამით დღიურ დავალებას 6ჯ კილოგრამით გადაჭარბა. ამჟ. ბულიხკერიამ იკისრა 1 ჰექტარზე მოკრიფოს 8.000 კილოგრამი ფოთოლი. უკვე მოკრიფა 2 ათასი კილოგრამი ნედლეული.

სამტრედიის რაიონი

ნატაშა ონიანიძე სოფელ იანეთის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობაში ფოთლის კრეფის ყოველდღიურ გეგმას ორმაგად ასრულებს. მისი ვალდებულებაა ხეზონში 0,4 ჰექტარზე მოკრიფოს 3 ათასი კილოგრამი ნედლეული და ამით წლიური გეგმა ორმაგად შეასრულოს.

შურა კაკაბაძე სოფელ დიდი ჯიხაიშის ნინოშვილის სახელობის კოლმეურნეობაში მუშაობს. მან ვალდებულება იკისრა 0,4 ჰექტარზე მოკრიფოს 3.100 კილოგრამი ფოთოლი, ვალდებულების ანგარიშში უკვე მოკრეფილი აქვს 1.100 კილოგრამი ჩაი. იგი ყოველდღიურად ფოთლის კრეფის გეგმას 150 პროცენტით ასრულებს. მისი პირობაა მოსავლელად მიჩენილ 0,4 ჰექტარზე ხეზონში მოკრიფოს 2.500 კილოგრამი ნედლეული ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 1.500 კილოგრამისა.

ბოლშევიკების ბრძოლა მასებისათვის

ბურჟუაზიული დროებითი მთავრობა გახაგრძობდა სისხლისმღვრელ იმპერიალისტურ ომს, რომელიც პირველ რიგში მძიმე ტვირთად აწვებოდა მუშებს, რომელთა მდგომარეობა დღითი-დღე უარესდებოდა. კაპიტალისტები აძლიერებდნენ მუშების ექსპლოატაციას, უარს ამბობდნენ მათთვის ხელფასის მომატებაზე და ხშირად ქუჩაში ერეკებოდნენ მათ. პეტერბურგში, მოსკოვსა და სხვა ქალაქებში იძარცვებოდა მუშათა გაფიცვები, დემონსტრაციები. მუშათა მოძრაობა განსაკუთრებით გაძლიერდა ივნისში. მუშები მოითხოვდნენ ომის შეწყვეტას, წარმოებაზე მუშათა კონტროლის დაწესებას, თვიანთი მოგომარაჯობის გაუმჯობესებას, 8 საათის სამუშაო დღის და სხვ.

ვ. ი. ლენინის მეთაურობით კომუნისტური პარტიის მიერ მასების მისამართრობად ფაბრიკებში, ქარხნებში, უაზარმებში გაჩაღებული იყო მუშაობა. ყოველივე ეს დიდ გავლენას ახდენდა მშრომელ მასებზე. ისინი გადაჭრით დგებოდნენ ბოლშევიკების მხარეზე, დღითი-დღე იზრდებოდა მათი რევოლუციური განწყობილება, პოლიტიკური აქტივობა. ეს ნათლად დადასტურა 1917 წლის ივნისში პეტროგრადში მომხდარმა რაიონულ თვითმმართველობათა არჩევნებმა. ეს არჩევნები დაიწყო 9 ივნისს. ბოლშევიკების საარჩევნო პლატფორმა შემუშავებული იყო ლენინის მიერ. იგი დაკავშირებული იყო რევოლუციის შემდგომი განვითარების ამოცანებთან. პლატფორმაში გათვალისწინებული იყო შემდეგი მოთხოვნები: არავითარი მხარდაჭერა იმპერიალისტურ ომს; არავითარი მხარდაჭერა ბურჟუაზიულ დროებით მთავრობას.

გაზეთ „პრავდაში“ ფართოდ შუქდებოდა არჩევნების მიმდინარეობის საკითხები, მთავარ პოლიტიკურ მიმდინარეობათა შორის გაშლილი საარჩევნო ბრძოლის შედეგები. „პრავდა“, მიმართავდა რა მუშებსა და ჯარისკაცებს, წერდა: „ამხანაგებო, თქვენ შეგწევდათ უნარი გებრძოლათ ქუჩებში მეფის ფარაონების წინააღმდეგ — ახლა გამოიჩინეთ იმის უნარი, რომ იბრძოლოთ თქვენი ინტერესებისათვის, თქვენი პარტიისათვის ხმის მიცემით“.

„პრავდაში“ სისტემატურად თავსდებოდა ვ. ი. ლენინის სტატიები, რომლებიც ეხებოდა არჩევნებს. ლენინმა ამ საკითხს უძღვნა, მაგალითად, წერილები: „პარტიები პეტროგრადის რაიონულ თვითმმართველობათა არჩევნებში“, „ორი ნაკლი“ და სხვ. სტატიაში „ორი ნაკლი“ ლენინი წერდა:

> „უნდა უკუვაგდოთ დამკვიდრებული ჩვეულებანი; მდიდართა უბნებში განსაკუთრებით ენერგიულად უნდა წავიდეთ „ხალხში“, შეგნებული ცხოვრებისათვის უნდა გამოვადვიძოთ მშრომელთა და ექსპლოატაციისგან ახალი ფენები. საჭიროა იყო არჩევნებში მონაწილეობის მიზანდებად მიგვეზიდა უპარტიო პროლეტარული ელემენტები, — განსაკუთრებით, მაგალითად, შინაგამოსამსახურეები და მათგან ყველაზე უფრო საიმედონი უშიშრად შეგვეტანა პროლეტარულ სიაში. რატომ უნდა გვეშინოდეს უპარტიო პროლეტარული ელემენტების უმცირესობისა, როცა უმრავლესობა შეგნებულ პროლეტარ-ინტერნაციონალისტებს ეკუთვნის?“...

ასევე „პრავდაში“ ქვეყნდებოდა ი. ბ. სტალინის წერილები, რომლებშიც შუქდებოდა საარჩევნო კამპანიის მიმდინარეობა.

15 ივნისს ი. ბ. სტალინმა სპეციალური სტატია უძღვნა პეტროგრადის მუნიციპალური არჩევნების შედეგებს. მიუხედავად დევნისა და შევიწროებისა, არჩევნებში ბოლშევიკებმა მიიღეს 160.000-ზე მეტი ხმა, ე. ი. პარტიის წევრთა რაოდენობაზე შვიდჯერ მეტი. ბოლშევიკებმა ხმების დიდი უმრავლესობა მიიღეს პროლეტარულ რაიონებში. მაგალითად, ვიბორგის მხარეში ნათ მიიღეს ხმების აბსოლუტური უმრავლესობა. ეს იყო მაჩვენებელი ბოლშევიკების გავლენის ზრდისა, იმისა, რომ მის გარშემო დაირაზმნენ ყველაზე გაბედული ელემენტები, რევოლუციური ჯარისკაცები.

კადეტებმა ვერც ერთ რაიონში ვერ მიიღეს უმრავლესობა. მათ ძლივს შეაგროვეს ხმების ოცი პროცენტი და სრული დამარცხება განიცადეს პირველ აშკარა ბრძოლაში არჩევნების თავისუფლების დროს. მათ თავის განკარგულებაში ვერ მიიღეს ვერც ერთი რაიონული თვითმმართველობა.

ნ. კრუპსკაია თავის მოგონებაში ლენინზე ასე აგვიწერს ამ არჩევნებს:

> „ივნისში რაიონულ თვითმმართველობათა არჩევნები მიმდინარეობდა. მე ვაკვირდებოდი, როგორ მიმდინარეობდა წინასაარჩევნო კამპანია ვასილიევსკის კუნძულზე. ქუჩები მუშა ხალხით იყო გაჭედილი. სჭარბობდნენ მილის ქარხნის მუშები, ბევრი იყო მუშა ქალი ლაფერმის ფაბრიკიდან. ლაფერმის ფაბრიკა ხმას აძლევდა ესერებს. ყველგან გაცხარებული დავა იყო, შეფასებას აძლევდნენ არა კანდიდატებს, არა პირებს, არამედ პარტიების საქმიანობას, რას იცავს ესა თუ ის პარტია. მოგაგონდა არჩევნები რაიონების მიხედვით, რაც შედგა პარიზში ჩვენი იქ ყოფნის დროს: ჩვენ გვაოცებდა ის, რომ არ იყო პოლიტიკური შეფასება და ძალიან ბევრი პირადი ანგარიში შეჰქონდათ არჩევნებში. აქ კი სულ საწინააღმდეგო სურათი იყო. თვალში გეცემოდათ ისიც, თუ როგორ გაიზარდნენ მასები 1905-1907 წლებთან შედარებით...
>
> მასების რევოლუციური განწყობილება იზრდებოდა“.

მზრუნველობა არ მოვაკლოთ ნათესებს

„კომუნისტის“ რეიდი

მოსავლისათვის კარგი ამინდები დგას ზნაურის რაიონში. გასულ წელთან შედარებით ამ გაზაფხულზე უფრო მაღალ აგროტექნიკურ დონეზე შესრულდა მინდვრის სამუშაოები. უკანასკნელ ხანს მოსულმა წვიმებმა აბიბინა ყანები, შაქრის ჭარხლის პლანტაციები; კარგი პირი უჩანს ბოსტნეულს, ბაღჩეულს, მადალი მოსავლის იმედს იძლევა ვენახები და ბაღები.

ყოველივე ეს ახარებს კოლმეურნეებს, უფრო ხალისიანს ხდის შრომას, რაიონის მეტწილ კოლმეურნეობებში გულმოდგინედ ეკლიან ნათესებს.

რაიონული ცენტრიდანვე მოჩანს სოფელ თიღვის ბულგანინის სახელობის კოლმეურნეობის მინდვრები, ბაღ-ვენახები. ფერდობზე მწკრივად დათესილი კარტოფილი საგულდაგულოდ არის დამუშავებული. თიღველებს დაუბარავთ, გაუსხლავთ და რამდენჯერმე შეუწამლავთ ვენახი. დახუნძლული ვაშლის ძირები თეთრად გამოიყურება. ბალი დამწიფდა.

ვნახეთ სოფელ ნულის მინდვრები. კოლმეურნეები კარგად უვლიან ჭარხალს, სიმინდს. ნულელებს სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოწვეული ჰყავთ სოფელ ავნევის გუნამიშვილის სახელობის კოლმეურნეობა.

ნათესებს კარგად უვლიან აგრეთვე სოფლების ყორნისის, ბეყმარის და ვახტანის კოლმეურნეობებში. ბეყმარის კოლმეურნეობაში შექმნილია ახალგაზრდული ბრიგადა, რომელიც იცავს სიმინდის მოყვანის აგროტექნიკას.

მიუხედავად ამისა, ზნაურის რაიონში არის კოლმეურნეობები, რომლებიც ნათესების დამუშავებაში ჩამორჩნენ, უყურადღებოდ ეკიდებიან შაქრის ჭარხლის, სიმინდის დროულად დამუშავებას, აჭიანურებენ ბაღებსა და ვენახებში ჩასატარებელ სამუშაოებს.

წელს ზნაურის რაიონის კოლმეურნეობებში 3.050 ჰექტარი სიმინდი დათესეს. ნათესების აღმოცენება თითქმის ყველგან კარგია. მიუხედავად ამისა პირველი თოხნა 10 ივნისისათვის შესრულებული იყო 50,3 პროცენტით, რაიონული ცენტრის ახლოს სოფელ თერეგვანის კოლმეურნეობა მდებარეობს. გზიდანვე ჩანს მოუვლელი სიმინდები. ამ ცხარე დღეებში სოფელში ვნახეთ უქმად მოსიარულე კოლმეურნეები გ. კასრაძე, გ. სადღობელაშვილი, ა. ხუციშვილი, ვ. ხასიევი, ი. ჯაჩმაზოვი. ისინი თავს არიდებენ შრომას, კოლმეურნეობაში შრომის ორგანიზაცია ჩაშლილია, ბრიგადები დაკომპლექტებული არ არის. თერეგვნელებს საუკეთესოდ მსმენიარე ვენახში პირველი წამლობაც კი არ ჩაუტარებიათ.

ნათესების დამუშავებაში უკეთესი მდგომარეობა არც სოფელ ძაღინის კოლმეურნეობაშია. ზოგიერთ ნაკვეთში სიმინდის ნათესი ბალახმა დაფარა. დაბალია შრომის დისციპლინა. 58 კოლმეურნეს წელს მხოლოდ 5-10 დღე აქვს ნამუშევარი საზოგადოებრივ მეურნეობაში. კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ი. გაგიევს და პირველადი პარტორგანიზაციის მდივანს კ. გაგიევს ეს ნაკლოვანებები სრულებით არ აწუხებთ. ისინი რაიონულ ცენტრში უფრო ხშირად იმყოფებიან, ვიდრე სოფლის მინდვრებზე.

ნათესებისათვის მზრუნველობას არ იჩენენ სოფელ ქვათეთრის პირველი მაისის სახელობისა და სოფელ ძვილეთის კოლმეურნეობებში. ქვათეთრის კოლმეურნეობაში ნაკვეთები ბალახით იფარება, კოლმეურნეობის გამგეობა კი მაინცდამაინც დიდად არ იწუხებს თავს. შაქრის ჭარხლის, სიმინდის ნათესებს, აგრეთვე ბაღსა და ვენახს არადამაკმაყოფილებლად უვლიან სოფელ ველების კოლმეურნეობაში.

ნათესების მოვლა-დამუშავებაში ნაკლოვანებები აქვთ ზნაურის რაიონის სხვა კოლმეურნეობებსაც. მაგრამ ყველაზე სამწუხარო ის არის, რომ ამ საქნეში თითქმის არავითარ მონაწილეობას არ იღებს ზნაურის მტს-ი, რომლის უხეირო მუშაობა არაერთხელ აღნიშნულა პრესის ფურცლებზე. ზნაურის მტს-ის მექანიზატორებმა გააჭიანურეს სიმინდის ნათესების კულტივაცია. მტს-ის დირექტორი ზ. ქოქოევი ამ სამუშაოს მეორეხარისხოვნად თვლის. მექანიზატორები ნელა აწარმოებენ სამუშაოებს აგრეთვე შაქრის ჭარხლის პლანტაციაში. ჯერ კიდევ აპრილ მტს-მა ჩაშალა შემოდგომის ნათესების დაზიგზაგების დავალება. სოფლების ნულის, ავნევის კოლმეურნეებმა მტს-ს სთხოვეს, რომ კარტოფილის ნათესებში ჩაეტარებინა კულტივაცია, მაგრამ მტს-ში ეს უმნიშვნელო საქმედ მიიჩნიეს და უარი უთხრეს.

მოსავლის აღებისათვის მზადებას ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა. მალე მოსავლის აღება დაიწყება. კომბაინერთა კადრები აკლიათ. მტს-ის დირექცია კომბაინერებს ქარელისა და ხაშურის რაიონებში ეძებს. მექანიზატორთა კადრების შესახებ ზნაურში ისე როგორც ყოველთვის წელსაც არ იზრუნეს.

ზნაურის მტს-ის უხეირო მუშაობის მიზეზებში სერიოზულად უნდა გაერკვნენ პარტიის ზნაურის რაიკომი და რაისაბჭოს აღმასკომი. მექანიზატორთა მუშაობა მაღალ დონეზე უნდა იდგეს. ამას მოითხოვს სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობის ამოცანები.

წელს ზნაურში მოსავალს კარგი პირი უჩანს. საჭიროა მხოლოდ ნათესების სანიმუშოდ დამუშავება, რომ კოლმეურნეთა წლიური ნაამაგარი თავის დროზე შევიდეს ბეღელში.

რეიდის მონაწილენი:

ი. კოტბერიძე,
პარტიის ზნაურის რაიკომის ინსტრუქტორი მტს-ის ზონაში,

ვ. ქელეხსაევი,
ზნაურის რაიონული გაზეთის „კოლხოზონ ცარდის“ რედაქტორი,

ვ. ოდიკაძე,
გაზეთ „კოლხოზონ ცარდის“ ლიტმუშაკი,

ი. თედიაშვილი,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

ქობულეთში გაშენებულია სამკურნალო და არომატულ მცენარეთა სრულიად საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ამიერკავკასიის ზონალური სადგურის პლანტაციები და სათბურები.

მთელმა რიგმა ცდებმა და კლინიკურმა გამოკვლევებმა ცხადყო, რომ ინსტიტუტის მიერ მოყვანილი მრავალი ბალახის, ბუჩქის და ყვავილისაგან მიღებულ წამლებს მაღალი სამკურნალო თვისებები აქვთ. მათ იყენებენ ჭრილობების, გასტრიტების, ღრძილის დაავადების, სისხლნაკლებობის და კანის კიბოს სამკურნალოდ.

ფოტო ვ. სტოლიაროვისა.
(საქდესის ფოტოქრონიკა).

★

სასოფლო სამეურნეო სამუშაოთა მიმდინარეობა

ნათესების დამუშავება

რესპუბლიკის კოლმეურნეობებში მიმდინარეობს სიმინდის ნათესების პირველი თოხნა. 10 ივნისისათვის სულ გათოხნილი იყო 87.432 ჰექტარი, რაც გეგმის 37,3 პროცენტს შეადგენს. აღმოსავლეთ საქართველოს რაიონებში სიმინდის პირველი თოხნა დასასრულს უახლოვდება. მაგრამ დასავლეთ საქართველოს რაიონებში დამაკმაყოფილებელი მდგომარეობა ვერ არის.

აბაშის რაიონში 10 ივნისისათვის სიმინდის პირველი თოხნის დავალება შესრულებული იყო 7,5 პროცენტით, ცხაკაიას — 11,2, გეგეჭკორის — 9,6, ზუგდიდის — 24,1, ხობის — 13,5, წალენჯიხის — 35,7, ჩხოროწყუს — 22,9, მახარაძის — 33,9, ლანჩხუთის — 11,1, ჩოხატაურის — 18,6, ქუთაისის — 8,0, წყალტუბოს — 13,8, სამტრედიის — 5,4, წულუკიძის — 5,5, ვანის — 12,1, მაიაკოვსკის — 24,5, ზესტაფონის — 12,6, თერჯოლის — 11,6, ჭიათურის — 12,1, საჩხერის — 22,8, ორჯონიკიძის — 2,3, ტყიბულის 9,1, ონის — 22,1, ამბროლაურის — 33,4, ცაგერის — 18,8, ლენტეხის — 60,7, მესტიის რაიონში — 40,6, აფხაზეთის ასსრ-ში — 18,3, ხოლო აჭარის ასსრ-ში — 25,1 პროცენტით.

ანეულის ხვნა

აღმოსავლეთ საქართველოს რაიონებში კარგახანია დაიწყო ანეულის ხვნა. სულ რესპუბლიკაში 10 ივნისისათვის ანეულად მოხნული იყო 19.542 ჰექტარი, რაც გეგმის 59,8 პროცენტს შეადგენს. შარშან ამავე პერიოდისათვის დავალება შესრულებული იყო 32,3 პროცენტით.

ახალქალაქის რაიონში ანეულის ხვნის დავალება შესრულებულია 43,9 პროცენტით, ბოგდანოვკის — 67,0, ადიგენის — 41,0, ქარელის — 63,0, გორის — 59,6 წალკის — 6,0, დუშეთის — 20,0, თეთრი წყაროს — 32,8, სიღნაღის — 15,5, გარეუბნის — 58,2, მარნეულის — 96,6, ბოლნისის — 99,2, საგარეჯოს — 78,9, დმანისის რაიონში — 43,5, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში — 13,2 პროცენტით.

თიბვა დაიწყო

10 ივნისისათვის რესპუბლიკაში სულ ბუნებრივი ბალახები გათიბულია 2.264 ჰექტარი. გეგმით გასათიბავია 212.562 ჰექტარი. შარშან ამავე პერიოდისათვის გათიბული იყო 525 ჰექტარი. წელს გეგმით ნათესი ბალახები უნდა გათიბოს 47.042 ჰექტარი, გათიბულია 1.479 ჰექტარი, საჭიროა გავაძლიეროთ თიბვის ტემპი, ამთავითვე შეექმნათ მტკიცე საკვები ბაზა მეცხოველეობისათვის.

ანდრია სინაურიძე

მდინარის გაღმა მტერია დაბანაკებული.

გამოლმა მაღლობზე ანდრია სინაურიძის ბატარეა დგას. წითელარმიელები გუშინ ცხარე ბრძოლით ამოვიდნენ ამ მაღლობზე და გამაგრდნენ.

ადვილი როდი იყო ამ მაღლობის დაპატრონება. სამთო ქვემეხების თვლები უკან, ქვეკით მიგორავდნენ, და ბიჭებმა ბრძოლით და თავანთი მხრებით ამოიტანეს ისინი. ახლა ქვემეხები მტრის ბანაკს მრისხანედ გაპყურებენ.

მეორე დღეა განუწყვეტლივ თოვს. ბავშვის ხელის მტევნისოდენა ფანტელები თამაშ-თამაშით მოფრინავენ ზევიდან.

პირველ დღეს წითელარმიელებს კიდეც უხეროდათ ასეთ ამინდში ყოფნა, მეორე დღეს მობეზრდათ და ხასიათი შეეცვალათ. მესამე დღეს კი სიბრაზე დაეტყოთ.

სიცივე თანდათან აუტანელი გახდა. ღილით თოვლი წყნარად ცვივოდა, ნაშუადღევს ქარიც ამოვარდა და ყველაფერი აირია. გახედვა შეუძლებელი შეიქნა.

სიცივეს შიმშილი დაემატა. თოვლი კაცის სიმაღლეს ასცილდა და ქვეკიდან ვეღარაფერს აწვდიდნენ ბანაკს. აქა-იქ ისეთი თეთრი გორაკები აღმართა, თითქოს წუხელ ახალი მთები ამოზიდულაო.

მეომრები გარინდებული შესცქეროდნენ უკაცრიელ და უხმაურო დათოვლილ გარემოს.

გუშინ დილით უკანასკნელად დაღრღნეს გამხმარი პურის ნარჩენები და ახლა ჯიანა თვალებით გასცქეროდნენ სამყაროს. ბატარიის მეთაური ანდრია სინაურიძე გამოცდილი მეომარია. სამოქალაქო ომის პირველ დღეებში ჩრდილოეთ კავკასიაში პარტიზანთა ჯგუფის მეთაური იყო. არაერთ თეთრგვარდიელს დაუბნელეს მისმა შევარდნებმა თვალის სინათლე-მუცლის ტიფით დაავადდა მაშინ, და ძლივს გადარჩა სიკვდილს.

სიცივე და შიმშილი მისთვის უცხო არ იყო. ახლა იგი დაფიქრებით გასცქეროდა ქარბუქით ამღვრეულ ქვეყანას.

— თუ დაადგიანეს და პური ვერ მოგვაწოდეს, სიცივემაც კიდევ მოუმატა, ბიჭები სულერად გაფუჭდებიან და მაშინ... მაშინ სჭირდება მეთაურს მეთაურობა.

გარშემო გორაკები აღარ ჩანდა, ბაღმიდან მტრის ჩამიჩუმიც არ ისმოდა.

მაღლობი, რომელზეც ბატარეა იდგა, თოვლის მოსვლამდე სხვაზე მაღალი იყო, ახლა წითელარმიელებს ეჩვენებათ, რომ გარშემო მდებარე გორაკები უფრო ამაღლდნენ და დიაზარიენენ. ეს ასეც იყო, ორასორმოცდაათი კაცის ქუსლი ამ მაღლობზე თოვლს ტკეპნიდა და ასწორებდა, გაღმა კი თოვლის დიდმა ჩამოცვენამ დაამსხვილა და აამაღლა მთის წვერები და კალთები.

ქარბუქი ისევ მძვინვარებდა. თოვლი ახლა ზევიდან კი არ ცვივოდა, იგი ქშუილით მორბოდა ხევებიდან, ქარი ხევებდა თოვლს მთის წვეროებსა და კალთებზე, აჭყონდა ჰაერში და საოცარი სიძლიერით ატრიალებდა.

სუნთქვა გაძნელდა.

მეოთხე დღეს რამდენიმე წითელარმიელი გაიყინა. ხუთი კაცი ამოათრიეს თოვლიდან.

ანდრია სინაურიძემ მაზარის კალთით დასრისა დაყინული მებრძოლები. ორი მოსულიერდა, დანარჩენები კი დამარხეს.

შტაბიდან ისევ არაფერი ისმოდა, ანდრიამ იცოდა, მაღლობის დატოვება დალატს ნიშნავდა.

— რა ვქნათ, კომისარო? — შეეკითხა აზრის გასაგებად მეთაური ბატარიის კომისარს.

— რა უნდა ვქნათ, ანდრო ჩემო, წინ წასვლა არ უბრძანებიათ, უკან კი ჩვენ არ დავიხევთ.

— ახალგაზრდა კაცია და გამძლეობა ძველი ჯარისკაცისა აქვს, — გაიფიქრა ანდრიამ და გუნებაში დატმადლა კომისარს.

მეხუთე დღეს თხუთმეტი კაცი დაეცა.

სამი დღის წინ გაგზავნეს ერთი ათეული შტაბისაკენ, და დღესაც არ იცოდნენ მისი ამბავი.

— ალბათ გზაზე გაიყინენ, ამოდენა თოვლს ვინ გაარღვევს, — ფიქრობდა მეთაური.

— ათ ცალ თხილამურს შეუძლია ჩვენი გადარჩენა, — განაგრძობდა ფიქრს ანდრია, — მაგრამ სად ნახავ თხილამურს ამ ტიტველ, თოვლით დაფარულ მწვერვალებზე?! ჯანდაბას! — ხელი ჩაქნია მან და კომისარს გახედა.

— ამაღამ აქ რომ დავრჩეთ, ნახევარი ხალხი დაგვეყინება — ჩაუჩურჩულა კომისარმა.

ანდრია დაფიქრდა. წითელარმიელებს მაზარაზე ქამარი მაგრად ჰქონდათ შემოკრული, სამხრე ტყავის ღვედებიც მჭიდროდ შემოეჭირათ. დამე მიწვებოდნენ თუ არა, ნამქერი ფარავდათ, ძილის დროს სითბოს კარგავდნენ და იყინებოდნენ.

— ერთი მაზარა ქვევით დაიფინეთ, მეორე ზევიდან დაიხურეთ, წყვილ-წყვილად თვალის მოსატყუებლად წამოწექით, დიდი ხნით ძილი არ შეიძლება, თუ ზევიდან დაგათოვთ, არ აირის საშიში, დაითოშებით, მაგრამ არ დაიყინებით, — ბრძანა მეთაურმა. თოვლქვეშ მსუბუქად მოქცეული სხეული ცოცხლად ინახება და არ იღუპება, შეკრული და შებოჭილი კი იყინება, კვდება.

წითელარმიელები გაოცებით შეჰყურებდნენ მეთაურს.

ექვს დღეღამეს იტანჯებოდნენ ბიჭები, ექვსი დღეღამე ებრძოდნენ შიმშილსა და გამყინავ ქარბუქს.

ანდრია სინაურიძემ მეექვსე დღეს იგრძნო სისუსტე. ჯერ ხერხემალი გაუცივდა, მერმე გრძნობა დაკარგა.

მეშვიდე დღეს მოალწია მესანგრეთა ნაწილმა.

სამოცი კაცი გამოთრიეს გაყინული. სამოცდამეერთე კი მეთაური ანდრია სინაურიძე იყო.

სამი თვე გაატარა ანდრიამ საავადმყოფოში. ოროვე ფეხი რაღაცამ წაართვა.

— სახსრები აქვს მოყინულიო, დაასკვნეს ექიმებმა.

ეს იყო სამოქალაქო ომის დასასრული.

მას შემდეგ დიდი დრო გავიდა. ანდრია სინაურიძე ისევ წევს ლოგინზე, ერთი ნაბიჯითაც კი არ შეუძლია მოსცილდეს სარეცელს. ანდრიას ერთადერთი შვილი ჰყავდა, ნიჭიერი და დიდი მომავლის მქონე ახალგაზრდა. უნივერსიტეტის სკამიდან სამამულო ომში წავიდა და უკან ვეღარ დაბრუნდა.

ოჯახის წევრთაგან ანდრიას მხოლოდ მეუღლე დარჩა. ეკუთვნისის ალ. წულუკიძის სახელობის პედინსტიტუტის სტუდენტებმა იცოან თავიანთი საყვარელი მეცნიერი-მასწავლებლის ნადია ალდუშელიშვილის ცოდნა და სიდარბაისლე, მისი სიკეთე და საქმისადმი უდიდესი სიყვარული.

მესამედ საუკუნეზე მეტია, რაც ეს ქალი თავის ქმარს ანდრიას უვლის. მისი განუყრელი მეგობარია და საბჭოთა ქალის სინდისისა და პატიოსნების საამაყო მაგალითს წარმოადგენს.

ანდრია სინაურიძე ბავშვობიდან წერდა ლექსებს, მართალია, შემდეგ ამისათვის არ ეცალა, მაგრამ ამჟამად მისი ნაწარმოებები ჩვენი რესპუბლიკის ყურნალ-გაზეთებში ანდრია სინაურის ფსევდონიმით ისტამბება.

გასულ წელს რვეულ მარგიანის წინასიტყვაობით და რედაქტორობით გამომცემლობა „საბჭოთა მწერალმა“ გამოსცა ა. სინაურის ლექსების წიგნი. ამდენი ამბებისა და გაჭირვების შემდეგ პატარა ბუნების ადამიანებს ხმაში მწუხარება მაინც შეეპარებოდათ, ანდრია სინაურიძის ლექსები კი სავსეა ჯანით და ღონით. მისი სტრიქონები გამთბარია სამშობლოსადმი ერთგულებით და ხალხისადმი განუზომელი სიყვარულით. თქვენ თვითონ ელაპარაკეთ მას! მისი ნება-სიმტკიცე და ხმის საოცარი ტემბრი, ცხოვრებისადმი უსაზღვრო სიყვარული, დამჯერებლობა, სიცოცხლის გაუტეხელი რწმენა, ყველაფერი ეს გათქმევინებთ, რომ, აი თურმე, რატომ გაიმარჯვეს ოქტომბრის დღეებში და სამოქალაქო ომში ჩვენმა წინაპრებმა. ამდენი ხნის მანძილზე სარეცელზე მიკრული ადამიანი შენიშნავს თუ არა მოსაუბრეს რაიმე მწუხარე ფიქრს, თვითონ ამიდგებს, ჯანს ჩაუდგამს და ძალღონეს მატებს.

გასულ წელს ანდრიას დაეინებით მეუღლემ საწოლზე მიჯაჭვული კაცი სამგორსა და რუსთავში ჩაიყვანა. მან ნახა თავისი თვალით ორივე ნაგებობა. ახლაც ბავშვივით აღფრთოვანებული უყვება ყველას იქ ნახულსა და განცდილს. თვითონაც არა ერთი სტრიქონი უძღვნა ჩვენი სამშობლოს დიდი დოვლათის ამ სოციალისტურ წყაროებს. მისი ლექსები გულწრფელია და მართალი კაცის დიდი ბუნებით არის დაწერილი. ანდრია სინაური თანმიმდევრულად განაგრძობს ბრძოლას ხალხთა ბედნიერებისათვის. მას სჯერა და ამბობს:

მუხლი მაქვს ასი არაგვის,
გუგუნი — ასი თერგისა
დღეს ჩემ ხმას, მეზად გავარღნილს
სცნობენ ჯანმაგარ ერის ხმად.
დიდი პარტიის ამაგით
წელში გამართვა მეღირსა.

თითქოს ის ჯერ კიდევ თავისი ამხანაგების მხარდამხარ იდგეს და სარეცელს არ იყოს მიკრული. მისთვის უცხოა სევდა და ჭმუნვა. მისი ფიქრი სავსეა დღევანდელი დღის სინათლით და ხვალინდელი დღის სიყვარულით. მართალია ვერაგ მტრებთან ბრძოლის დროს მისი ძვლები დაზიანდა, მაგრამ ახლა ლექსებით ითბობს დაყინულ სახსრებს და სიმღერებით აგრძელებს სიცოცხლეს, ანდრია სინაურის ლექსის მთავარი საგანი სამშობლოა. საბჭოთა საქართველო აძლევს მას ძალას, ღონეს, ის უდგამს სულს და ალაფრთოვანებს მას, ამღერებს:

მისი ყოველი ბორცვი, მინდორი
ჩვენი ტრფობის და ლხენის საგანი —
მისი ყვავილი, მისი სხვიტორი,
მისი არწივის ბუდე — ჩარგალი.

საბჭოთა მთავრობამ ღირსეულად დააფასა ა. სინაურიძის დვაწლი. იგი დამსახურებულად იღებს პერსონალურ პენსიას. მას იცნობენ საქართველოს ფარგლებს გარეთაც, ყოველმხრივ უწყობენ ხელს. ამიტომ ნათელი და გასაგებია, როცა იგი თავის სამშობლოს ეუბნება:

— მე ამ ბაღში მღერით არ დავიღლები
ჩემს ოცნებას შენს ყვავილებს გავანდობ,
შენს უბეში მხოლოდ გარდავიცვლები,
სიკვდილით კი არ მოვკვდები არასღროს.

მამია ასათიანი.

გამოუქვეყნებელი წერილების კვალდაკვალ

ახალსოფლის კლუბში მუშაობა ჩაშლილია, გამგე ა. გოგოჩაშვილი შრომის დისციპლინას არღვევს, კლუბის ქონებას არ უფრთხილდება, სწერდა რედაქციას მკითხველი საგარეჯოს რაიონიდან.

საგარეჯოს რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომი, რომელსაც წერილი ზომების მისაღებად გადაეგზავნა, გვატყობინებს, რომ წერილში აღნიშნული ფაქტები შეიმოწმებით დადასტურდა. საქართველოს კომპარტიის საგარეჯოს რაიკომის ბიუროომ ა. გოგოჩაშვილი სუსტი მუშაობისა და დაშვებული დარღვევებისათვის სამუშაოდან მოხსნა.

უსიგნალოდ მოძრაობის პირველი დღეები

როგორც ცნობილია, პირველი ივნისიდან თბილისში შემოღებულ იქნა საქალაქო ტრანსპორტის — ტრამვაის, ტროლეიბუსის, ავტობუსის და საერთოდ ყველა სახის როგორც მსუბუქი, ისე სატვირთო ავტომობილების უსიგნალო მოძრაობა.

ასეთი ღონისძიება თბილისზე ადრე განხორციელდა ჩვენი ქვეყნის ისეთ დიდ სამრეწველო და კულტურულ ცენტრებში, როგორიცაა მოსკოვი, ლენინგრადი, კიევი, ხარკოვი, ბაკო, ერევანი. სხვა ქალაქების გამოცდილებიდან ვიცოდით, რომ უსიგნალოდ ტრანსპორტის მოძრაობის პირველ დღეებში, ჩვეულებრივ დღეებთან შედარებით, მატულობდა ე. წ. საგზაო შემთხვევების რაოდენობა. და ეს ბუნებრივიც იყო, რადგან პირველ ხანებში მოსახლეობა და მძღოლები შეუჩვეველნი იყვნენ ახალ პირობებში მიმოსვლას.

ვიცოდით რა ეს, ქ. თბილისის მილიციის სამმართველოს მოძრაობის მომწესრიგებელმა განყოფილებამ წინასწარ დიდი საგიტაციო-მასობრივი და ორგანიზაციული მოსამზადებელი მუშაობა გააჩაღა. ჯერ კიდევ დიდი ხნით ადრე გამოშვებულ იქნა „მძღოლის სამახსოვრო“, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ ზოგიერთ ქუჩაში დღისით, ხოლო ღამით მთელ ქალაქში აკრძალული იყო ხმოვანი სიგნალების მიცემა. დიდ საავტომობილო მეურნეობათა მძღოლებს შორის მოეწყო საუბრები, ჩვენი მუშაკები აუდიტორიებში ხელმძღვანელობდნენ მოძრაობის წესების სწავლებას, მოქალაქეებისა და მძღოლებისათვის დიდი რაოდენობით გამოშვებულ იქნა სპეციალური პლაკატები. დამზადდა დიდრონი ფარები წარწერებით: „თბილისში ხმოვანი სიგნალის მიცემა აკრძალულია!“. ისინი დაგაეკრნენ ქალაქში შემოსასვლელ ყველა გზაზე. ამ საკითხთან დაკავშირებით რეგულარულად ეწყობოდა გადაცემები, როგორც საქალაქო რადიოქსელით და ტელევიზორით, ისე საწარმოთა და თბილისის რკინიგზის სადგურების რადიოკვანძებით, კინოთეატრების ეკრანებზე უჩვენებდნენ სპეციალურ ქრონიკებს. პრესაში გამოქვეყნდა მრავალი წერილი.

ამ ღონისძიების განხორციელებაში დიდი წვლილი შეიტანეს პიონერულმა ორგანიზაციებმა. კომკავშირის თბილისის კომიტეტთან ერთად მოვაწყეთ ქალაქის პიონერულ რაზმეულებს შორის პირად-გუნდური შეჯიბრება მოძრაობის წესების დაცვაში.

განხორციელდა მთელი რიგი ორგანიზაციული ღონისძიებებიც: გზაჯვარედინებსა და გადასასვლელებზე გადიდდა შუქნიშნების რაოდენობა, განახლდა გადასასვლელების ნიშნები, დადგა ლამპიონები, რეკონსტრუირებულ იქნა ზოგიერთი ქუჩა და გზაჯვარედინი.

საგიტაციო მუშაობა, რომელშიც ჩვენს მუშაკებთან ერთად ჩაბმული იყო ფართო საზოგადოებრივი აქტივი — ავტომეურნეობათა წარმომადგენლები, მოქალაქეები, მოსწავლეები, — განსაკუთრებით გაჩაღდა მაისის მიწურულში. აქტივის დახმარება კიდევ უფრო გაძლიერდა ივნისის პირველ რიცხვებში.

ძნელი ამ წინასწარი მუშაობის შედეგად ქალაქი მომზადებული შეხვდა უსიგნალოდ მოძრაობაზე გადასვლას. ივნისის პირველ დეკადის შედეგები მოწმობს, რომ საერთოდ საგზაო შემთხვევები არ გაზრდილა, ხოლო რაც შეეხება უსიგნალობით გამოწვეულ შემთხვევებს, ასეთი რამ უკანასკნელ ხანს სულ არ ყოფილა. ალსანიშნავია ისიც, რომ ძლიერ შემცირდა მოძრაობის წესების დარღვევა — დაუშვებელი სიჩქარით სვლა, გასწრება და სხვ.

ზოგის შიში, რომ უსიგნალობა თითქოს გამოიწვევდა საერთო მოძრაობის ტემპის მკვეთრად შენელებას, უსაფუძვლო აღმოჩნდა. მაგისტრალურ და სხვა დიდ ქუჩებზე, სადაც გადათასულელებია მოწყობილი, ყველა პირობები შეიქმნა დაშვებული სიჩქარის სრული განვითარებისათვის, ქვეითად მოსიარულეები ისე როდილა უშლიან ხელს მძღოლებს. მძღოლები იჩენენ ჰაესიმალურ სიფხიზლეს, ყურადღებას, პასუხისმგებლობას, მოქალაქეები კი — მაღალ შეგნებულობას, მოძრაობის წესების ცოდნას და იცავენ კიდეც მათ.

ყველასთვის ნათელია, რომ ამ ღონისძიებათა განხორციელებით ქუჩებში მნიშვნელოვნად იკლო ხმაურმა, უკეთესი პირობები შეიქმნა ნორმალური მუშაობისა და დასვენებისათვის. ეს განსაკუთრებით საგრძნობი შეიქნა იმ მოქალაქეებისათვის, რომლებიც კლარა ცეტკინის, ნეკრასოვის, კრუნკელის, ენგელსის, გრიბოედოვის ქუჩებზე ან მარქსის მოედანზე ცხოვრობენ და ბევრგან სხვაგან, სადაც ქალაქის ტრანსპორტის სიგნალების ხმა განსაკუთრებით ხშირი და შემაწუხებელი იყო.

მიუხედავად სასურველი შედეგებისა, ჯერ კიდევ გვხვდებიან ისეთი ცალკეული მძღოლები და მოქალაქეები, რომლებიც უპასუხისმგებლოდ ეკიდებიან თავიანთ მოვალეობას, ხმარობენ სიგნალს, არღვევენ მოძრაობის წესებს. ეი რამდენიმე მაგალითი. 10 მაისს შუადღისას უნივერსიტეტის ქუჩაზე მოქალაქე ოთარ ჩიკვაიძემ, რომელიც მართავდა „პობედის“ მარკის ნათხოვარ ავტომანქანას, რამდენიმე სახის დარღვევა ჩაიდინა, ქუჩაში გამოვიდა ტექნიკურად გაუმართავი მანქანით, განავითარა გადაჭარბებული სიჩქარე, მისცა ხმოვანი სიგნალი და გასწრო წინ მიმავალ მანქანას, მაშინ როცა ამის უფლება არ ჰქონდა. ჩიკვაიძეს ჩამოართვეს მართვის ნებართვა, ხოლო ავტომანქანა დაიკავეს.

ქუჩაში მოძრაობის წესების დარღვევისათვის საქალაქო მილიციის რაიონულ განყოფილებებში მოყვანილ და დაჯარიმებულ იქნენ ეტაპის ქ. № 3 მცხოვრები რაფიკ პეტროსიანი, რომელიც არსად არ მუშაობს, არტელ „ინდუსტრიის“ მუშა ზაქარია მამულაშვილი, პატარძეულის ქ. № 24 მცხოვრები ვლადიმერ ნერსესიანი, არტელ „პრომტექსტილის“ მუშაკი ლია სულაძე, გოგებაშვილის მეორე შესახვევი № 4 მცხოვრები ჯემალ ტყეშელაშვილი, რომელიც არსად არ მუშაობს და სხვები.

მართალია, ტრანსპორტის უსიგნალოდ მოძრაობის პირველი შედეგები ცუდი არ არის, მაგრამ ეს არ გვაძლევს თვითდამშვიდების უფლებას. საჭიროა როგორც მილიციის მუშაკებმა, ისე მძღოლებმა და მოქალაქეებმა კი არ შეანელონ, არამედ გააძლიერონ თავიანთი მუშაობა ამ მიმართულებით.

პოდპოლკოვნიკი **კ. გვასალია,**
ქ. თბილისის მილიციის სამმართველოს მოძრაობის მომწესრიგებელი განყოფილების უფროსი.

მოძმე ერების თეატრალური კულტურის ჩვენება

გუშინ ჩვენს რესპუბლიკას საგასტროლო ეზღვეთი ესტუმრნენ და 15 ივნისიდან თავიანთი სპექტაკლების ჩვენებას იწყებენ კიროვაბადის ჯ. ჯაბარლის სახელობის შოთის წითელ დროშის ორდენოსანი აზერბაიჯანული დრამატული თეატრი და ერევნის კ. სტანისლავსკის სახელობის რუსული დრამატული თეატრი.

კიროვაბადის ჯ. ჯაბარლის სახელობის თეატრი (მთავარი რეჟისორი ჰ. სულთანოვი) 36 წლის არსებობის მანძილზე პირველად გამოდის თბილისელთა წინაშე - თავისი რეპერტუარის საუკეთესო დადგმებით. თბილისელები ნახავენ სამედ ვურგუნის „ვაგიფს“, ნაზიმ ჰიქმეთის „თავის ქალას“, სადინ რაჰმანის „დანიშნულ ყალს“. გუსეინ ჯავიდის „შეიხ სანანის“, ისლამ საფარლის „თვალის ეკიმს“, ჯ. ჯაფარლის „დამეკნარ ვარდებს“, ჯ. მაჯნუნბაიოვის „მეხს“, ა. ჰაქვერდიევის „ფარი ჯადუს“, მ. თაჰმასიბის „ბაბარს“, გასან ბიჯარის და გ. ჯამშიდის „ლალატს“ და მ. შამხალოვის „სიდეფრს“.

სპექტაკლებში მონაწილეობას მიიღებენ აზერბაიჯანის სსრ სახალხო არტისტები ი. ტალიბილი, ო. სოლშაზი, ა. იუსუფზადე, საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი რ. თაღიევა, აზერბაიჯანის სსრ დამსახურებული არტისტები რ. ვეისალოვა და მ. ბურჯალიევი, მსახიობები ა. სეიფი, ს. გასანზადე, ა. აბასოვი, მ. ჯაფაროვა, რ. ნადიროვი, მ. ჯაფაროვი, მ. დავუდოვი და სხვ.

ერევნის რუსულ დრამატულ თეატრს (მთავარი რეჟისორი სომხეთის სსრ სახალხო არტისტი ა. ქალანთარი) საგასტროლო რეპერტუარში აქვს ა. შირვანზადეს „ჰატიოსნებისათვის“, ფ. დოსტოევსკის „დამცირებულნი და შეურაცხყოფილნი“, ა. სუმაროკოვის „დედა“, მ. სებასტიანის „უსახელო გარსკვლავი“, დ. დობრჩინინის „სამი ბულბულის ქუჩა № 17“, გ. ზაპოლსკაიას „ჰანი დულსკაიას მორალი“, ედუარდო დე ფილიპოს „ფილუმენა მარტურანო“ და ბ. გორბატოვის „ერთი ღამე“.

სპექტაკლებში მონაწილეობას მიიღებენ სომხეთის სსრ სახალხო არტისტები ი. ვანოვსკი, გ. გენი, ნ. ტერ-სემიონოვი, სომხეთის სსრ დამსახურებული არტისტები ე. ვასილევსკაია, ო. ლაბუნსკაია, ლ. ჩემბარსკი, ლ. ლეონიდოვი, ა. ბრავეინი, ი. გრიჭეროვი, ი. ფროლოვი, მსახიობები ვ. კულიაბინი, ა. ვანოვსკაია, ნ. ეგოროვა, ა. სუმაროკოვი, ა. პავლიდი, გ. ლეონიდოვი, ნ. სმირანინა, ა. მოროზოვა და სხვ.

კიროვაბადის თეატრი სპექტაკლებს გამართავს თბილისის სომხური დრამის თეატრში 15-დან 26 ივნისამდე. შემდეგ იგი ესტუმრება მარნეულის, ბოლნისის, დმანისის და გარდაბნის მშრომელებს. თეატრს განზრახული აქვს ჩვენს რესპუბლიკაში დაპყოს 2 თვე. პირველ საგასტროლო სპექტაკლად დღეს და ხვალ წარ

ნ. ა. ბულგანინმა და ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღეს ქალაქ ჰელსინკის მუშათა დელეგაციები

ჰელსინკი, 13 ივნისი. (საკდესი). დილით, როცა ჰელსინკში შრომითი ცხოვრება დაიწყო, რეზიდენციაში, სადაც გაჩერდნენ ნ. ს. ხრუშჩოვი და ნ. ა. ბულგანინი, მივიდა დედაქალაქის ნავთობის გამსაღებელი ფირმების მუშათა დელეგაცია მუშების მთავარი რწმუნებულის აარნე ჰალმეს მეთაურობით, რომელიც პროფესიით შოფერია. დელეგაციის შემადგენლობაში იყვნენ: ოსტატი ლაური იუვონენი, მექანიკოსი რუდოლფ პრისკი, მღებავი მაუნო ლაუკო, კანტორის მოსამსახურე კაარლო კივილახტი, საწყობის მუშა ბარტი რაუტიაინენი.

ნ. ა. ბულგანინი და ნ. ს. ხრუშჩოვი გულთბილად მიესალმნენ მუშათა დელეგაციას. აარნე ჰალმემ მუშების სახელით მეგობრული სალამის სიტყვები გადასცა საბჭოთა ხელმძღვანელებს და აღნიშნა, რომ ფინელი მუშები უაღრესად გულთბილი გრძნობებით არიან გამსჭვალულნი საბჭოთა კავშირის მუშათა კლასის, მშრომელების მიმართ. მათ არა სურთ ომი, და ენერგიულად იბრძვიან ფინეთსა და საბჭოთა კავშირს შორის მეგობრული ურთიერთობის განმტკიცებისათვის, მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცებისათვის. შემდეგ მან სამახსოვრო საჩუქრები გადასცა ნ. ა. ბულგანინსა და ნ. ს. ხრუშჩოვს.

— ჩვენ დიდად აგვაღელვა თქვენმა გულთბილმა სიტყვებმა საბჭოთა კავშირის მუშათა კლასისადმი, მშრომელებისადმი ფინეთის მუშების კეთილი გრძნობების შესახებ, — ამბობს ნ. ს. ხრუშჩოვი, მიმართავს რა მუშათა დელეგაციას. — შეგიძლიათ დარწმუნებული იყოთ, რომ საბჭოთა კავშირის სახით, ჩვენი ქვეყნის მუშების, მთელი ხალხის სახით თქვენ გაყავთ უაღრესად კეთილი მეგობარი. ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ განვამტკიცოთ მეგობრული ურთიერთობა ფინეთთან, რადგან ეს მეგობრობა სასარგებლო და ხელსაყრელია ჩვენი ორივე ქვეყნისათვის. გთხოვთ გადასცეთ ყველა მუშას, რომლებმაც თქვენ ჩვენთან გაძოგგზავნეს, რომ, ეტოვებთ რა თქვენს ქვეყანას, ჩვენ თან მიგვაქვს საუკეთესო მოგონებანი ფინეთში ყოფნის შესახებ.

გთხოვთ გადასცეთ თქვენს ამხანაგ მუშებს ჩვენი სალამი და საუკეთესო სურვილები, რომ თქვენ კარგად შრომობდეთ და ცხოვრობდეთ.

გმადლობთ, ძვირფასო მეგობრებო!

ნ. ს ხრუშჩოვი და ნ. ა. ბულგანინი გულთბილად ეთხოვებიან ნავთობის გამსაღებელი ფირმების მუშათა დელეგაციის წევრებს. წარმატებებს უსურვებენ მათ მუშაობაში, პირად ცხოვრებასა და საზოგადოებრივ მოღვაწეობაში და ერთხელ კიდევ მადლობას უძღვნიან საბჭოთა კავშირის მიმართ მუშების კეთილი სურვილებისათვის.

შემდეგ რეზიდენციაში მივიდნენ ქალაქ ჰელსინკის სამი სამშენებლო ფირმის მუშათა წარმომადგენლები მუშების რწმუნებულის კალატოზ ონი პაკარინენის მეთაურობით. დელეგატებს შორის იყვნენ — არვო ოლკონენი, რაუნა პელტონენი, კირსტი ლინდგრენი, აინო ლინდბერგი, უნტო ლაიაივერი, სვეა კარვონენი, კაარლო ლილე, ლემმი იუჰანსონი. ისინი გულითადად მიესალმნენ ნ. ა. ბულგანინსა და ნ. ს. ხრუშჩოვს ჰელსინკის მშენებელ მუშათა სახელით და იმედი გამოთქვეს, რომ საბჭოთა ხელმძღვანელების ვიზიტი ფინეთში ხელს შეუწყობს საბჭოთა კავშირსა და ფინეთს შორის მეგობრული კეთილმეზობლური ურთიერთობის კიდევ უფრო განმტკიცებას, მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცებას.

ნ. ს. ხრუშჩოვმა თავის სამახსოვრო სიტყვაში თქვა:

— გულითადად მადლობას მოგახსენებთ, ძვირფასო მეგობრებო, თქვენი კარგი, გულთბილი სიტყვებისათვის საბჭოთა კავშირის შესახებ, საბჭოთა ხალხის შესახებ. ეს სიტყვები ჩვენთვის ძალიან ძვირფასია იმიტომ, რომ ისინი ცხადყოფენ კეთილ, კარგ გრძნობებს, რომლებითაც ფინეთის მუშები, ხალხი გამსჭვალული არიან საბჭოთა კავშირის მიმართ. ჩვენ, თქვენი გულწრფელი მეგობრები, ყველაფერს გავაკეთებთ ჩვენს ქვეყნებს შორის მეგობრობის განვითარებისათვის. ჩვენ ვეცდებით ყოველი ღონისძიებით განვავითაროთ ეკონომიური ურთიერთობა თქვენს ქვეყანასთან. ფინეთის რესპუბლიკა პატარა ქვეყანაა. იგი რომ კარგად განვითარდეს, საჭიროა იზრდებოდეს მისი ვაჭრობა სხვა ქვეყნებთან, მათ შორის საბჭოთა კავშირთანაც. მაშინ საქონელი, რომელსაც თქვენ ამზადებთ, სულ უფრო ფართო გასაღებას იპოვნის. ხოლო როდესაც კარგად იმუშავებს თქვენი მრეწველობა, მაშინ აღარ იქნებიან უმუშევარნი. მე თვითონ ვიყავი მუშა, ვმუშაობდი ზეინკლად ქარხნებსა და მაღაროებში და ვიცი, თუ რა არის უმუშევრობა.

გთხოვთ გადასცეთ თქვენს ამხანაგ მუშებს ჩემი და ჩემი მეგობრის ნ. ა. ბულგანინის სალამი და უთხრათ მათ, რომ ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ განუწყვეტლივ უმჯობესდებოდეს მეგობრული ურთიერთობა ჩვენს ქვეყნებს შორის.

ნიაკემაინ! (ნახვამდის).

ფინეთის პრესა ნ. ა. ბულგანინისა და ნ. ს. ხრუშჩოვის ფინეთში ვიზიტის შესახებ

ჰელსინკი, 13 ივნისი. (საკდესი). ფინეთის გაზეთები ფართო კომენტარს უკეთებენ ნ. ა. ბულგანინისა და ნ. ს. ხრუშჩოვის დამთავრებულ ვიზიტს, აფასებენ მას, როგორც ახალ ნაბიჯს ფინეთსა და საბჭოთა კავშირს შორის მეგობრული ურთიერთობის შემდგომი განვითარების გზაზე. პრესა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს საბჭოთა კავშირ-ფინეთის კომუნიკეს.

გაზეთი „მაკანსა“ მოწონავე სტატიაში წერს, რომ კომუნიკე მკაფიოდ მოწმობს ფინეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის ახლანდელ ხასიათს. წერს რა, რომ ვიზიტთან დაკავშირებით ხაზგასმით აღინიშნა მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულების დიდი მნიშვნელობა და მისი კეთილნაყოფიერი გავლენა საბჭოთა კავშირ-ფინეთის ურთიერთობის განვითარებაზე, გაზეთი აღნიშნავს, რომ „ორივე მხარეს შეუძლია კმაყოფილი იყოს ამ დოკუმენტით, რომელშიც საერთაშორისო აზრით განსაზღვრულია ფინეთის განსაკუთრებული პოლიტიკური მდგომარეობა“.

„მაკანსა“ აღნიშნავს, რომ კომუნიკე ასახავს ახალ წარმატებებს ფინეთსა და სსრ კავშირს შორის ურთიერთობის განუხრელ განვითარებაში. „კომუნიკე, — წერს გაზეთი, — შეესაბამება იმ მეგობრულ სულისკვეთებას, რომელშიც მიმდინარეობდა საბჭოთა ხელმძღვანელების ვიზიტი ფინეთში“.

„სუომენ სოსიალიდემოკრაატი“ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ნ. ა. ბულგანინისა და ნ. ს. ხრუშჩოვის ვიზიტის დროს წარმოებულმა საბჭოთა კავშირ-ფინეთის მოლაპარაკებამ ორივე ქვეყნისათვის დადებითი შედეგები მოიტანა.

გაზეთი „ჰელსინგინ სანომატი“ განსაკუთრებით უსვამს ხაზს კომუნიკეში აღნიშნულ მითითებას იმის შესახებ, რომ დიდი მნიშვნელობა აქვს ფინეთსა და სსრ კავშირს შორის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულებას ჩრდილოეთ ევროპის მშვიდობის განმტკიცებისათვის.

როგორც გაზეთი „კანსან უუტისეტი“ წერს, ნ. ა. ბულგანინისა და ნ. ს. ხრუშჩოვის ვიზიტმა... „გააფართოვა და განამტკიცა ნდობაზე დამყარებული თანამშრომლობა, რომელსაც ესწრაფვოდნენ ფინეთი და საბჭოთა კავშირი ომის შემდეგ თავიანთ ურთიერთობაში...“.

რეაქციონერები ცდილობენ ხელი შეუშალონ მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მუშაობას

კოლომბო, 12 ივნისი. (საკდესის სპეც. კორ.). რეაქციული წრეები ცდილობენ განხეთქილება და უნდობლობა შეიტანონ დელეგატთა შორის, რომლებიც მშვიდობის მსოფლიო საბჭოს სესიაზე ჩამოვიდნენ. გუშინ „გრანდ ორიენტ ჰოტელს“ შენობაში, სადაც სესია მუშაობს, უცნობმა პირმა გაავრცელა ცილისმწამებლური ბროშურა, რომელიც თითქოს გამოუშვა პარტიამ „ლანკა სამა სამაჯ პარტიმ“ და რომელსაც სათაურად აქვს „რუსეთის აგრესია უნგრეთში“. როგორც გაზეთი „ტაიმს ოფ ცეილონი“ წერს, პარტია „ლანკა სამა სამაჯ პარტიის“ გენერალურმა მდივანმა ლესლი გუნავარდენმ გაზეთების კორესპონდენტებს განუცხადა, რომ მის პარტიას ასეთი ბროშურები არ გამოუშვია.

ანტისაბჭოთა ხასიათის წერილები უკანასკნელ დღეებში დაბეჭდა აგრეთვე ზოგიერთმა გაზეთმა, განსაკუთრებით ინგლისურ ენაზე გამომავალმა გაზეთებმა.

მთავრობის კრიზისი იტალიაში

რომი, 12 ივნისი. (საკდესი). რესპუბლიკის პრეზიდენტმა გრონკიმ გუშინ დაიწყო კონსულტაცია მთავრობის კრიზისის გადაჭრის მიზნით. მან მიიღო სენატის თავმჯდომარე მერძაგორა, დეპუტატთა პალატის თავმჯდომარე ლეონე, სოციალ-დემოკრატიული პარტიის ლიდერი სარაგატი და ქრისტიან დემოკრატთა პარტიის მდივანი ფანფანი.

იტალიის პოლიტიკურ წრეებში მიიჩნიათ, რომ მთავრობის კრიზისის გადაწყვეტის პერსპექტივები ბუნდოვანი და წინააღმდეგობრივია. თუ ჯერ კიდევ გუშინდლამდე გამორიცხული არ იყო ეგრეთწოდებული „საქმიანი მთავრობის“ შექმნის შესაძლებლობა, რომელიც მოამზადებდა ვადამდე არჩევნებს, დღეს ცენტრის პარტიები აშკარად იჩენენ განზრახვას დაუბრუნდნენ ოთხპარტიულ მთავრობას.

ქრისტიან დემოკრატთა პარტიის ხელმძღვანელობამ გამოაქვეყნა კომუნიკე, რომელშიც აცხადებს, მთავრობის ახალი კრიზისის ყველაზე შესაფერისი გადაჭრა ცენტრის პარტიებს შორის სოლიდარობის პოლიტიკაში უნდა ვეძიოთო.

ამერიკის შეერთებული შტატები თავიანთ სამხედრო ბაზას ქმნიან კვიპროსზე

სტამბოლი, 12 ივნისი. (საკდესი). როგორც გაზეთ „ჰიურიეტის“ სპეციალური კორესპონდენტი ნიკოზიიდან გადმოგვცემს, ამერიკის შეერთებული შტატები კვიპროსზე ქმნიან სამხედრო-საჰაერო ბაზას.

ამერიკის პირველ თვითმფრინავებს, რომლებიც კუნძულზე ამ თვის დამლევს ჩავლენ, წერს კორესპონდენტი, ბაზი ეენებათ ლიმასოლის რაიონში, სადაც მათთვის გამოყოფილია ადგილი ინგლისის აკროტირის სამხედრო-საჰაერო ბაზაში.

სპორტის ამბები

მატჩები ივნისში

ივნისის ბოლომდე „ა“ კლასის გუნდები სსრ კავშირის პირველობაზე გამართავენ შემდეგ მატჩებს: 17 ივნისს — „სპარტაკი“ (მინსკი)-„შახტიორი“ (სტალინო); 27 ივნისს — ცსკ მო (მოსკოვი)-„კრილია სოვეტოვ“ (კუიბიშევი); 28 ივნისს — „სპარტაკი“ (მოსკოვი)-„ზენიტი“ (ლენინგრადი), „შახტიორი“ (სტალინო)-„დინამო“ (კიევი), „სპარტაკი“ (მინსკი)-„ტორპედო“ (მოსკოვი); 29 ივნისს — „დინამო“ (მოსკოვი)-„დინამო“ (თბილისი).

ამხანაგური შეხვედრები ხელბურთში

საქართველოში წარმატებით ინერგება სპორტის ერთ-ერთი საინტერესო სახეობა — ხელბურთი. თბილისში მოეწყო რამდენიმე ამხანაგური მატჩი, ჩატარდა რესპუბლიკური ჩემპიონატი.

10 ივნისს თბილისის „ბურევესტნიკის“ სტადიონზე გაიმართა ამხანაგური მატჩი ხელბურთში აზერბაიჯანისა და საქართველოს ნაკრებ გუნდებს შორის. გაიმარჯვეს საქართველოს ხელბურთელებმა ანგარიშით 13 : 11.

მეორე დღეს, 11 ივნისს, გაიმართა ხელბურთელთა მეორე შეხვედრა. ამჯერად აზერბაიჯანელთა წინააღმდეგ თამაშობდა საქართველოს ნაკრები გუნდის მეორე შემადგენლობა. შეჯიბრება მოიგეს აზერბაიჯანელებმა 13 : 3.

ნიკოლოზ ბარათაშვილი

ხანგრძლივი ძმიმე ავადყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მეცნიერებისა და ტექნიკის დამსახურებული მოღვაწე, ინჟინერი გრიგოლ ზაქარიას-ძე ქურდიანი.

გ. ზ. ქურდიანი დაბადა 1873 წელს სოფელ საგარეჯოში. საშუალო განათლება თბილისის რეალურ სასწავლებელში მიიღო. შემდეგ მან წარმატებით დაამთავრა ხარკოვის უმაღლესი ტექნიკური სასწავლებელი და სამშობლოში დაბრუნებისთანავე დაუცხრომელი ენთუზიაზმით ჩაება მშობლიური ქალაქებისა და სოფლების კეთილშოწყობის დიდ საქმეში.

განსვენებულის მოღვაწეობა განსაკუთრებით ნაყოფიერი გახდა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ. გ. ზ. ქურდიანის სახელთან ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქ თბილისში ბევრი უბნის, ქუჩისა და ნაგებობის ისტორია არის დაკავშირებული. მისი ხელმძღვანელობით მოხდა ლესელიძის ქუჩის გაფართოება, ელბაქიძის დაღმართის რეკონსტრუქცია, ჩელუსკინელთა ქუჩის პირდაპირი ხაზით შეერთება პლეხანოვის პროსპექტთან, ის ხელმძღვანელობდა მტკვრის სანაპირო მაგისტრალის პირველი უბნის (კ. მარქსის ხიდიდან ელბაქიძის ხიდამდე) მშენებლობას და ა. შ.

გრიგოლ ქურდიანის ხელმძღვანელობით გაყვანილ იქნა წყალსადენი საგარეჯოში, ონში, კასპში, გორში, გოგაშენში და სხვა ადგილებში, სულ 150-მდე წყალსადენი.

აღსანიშნავია გ. ქურდიანის მოღვაწეობა აგრეთვე მაღალკვალიფიციური ახალგაზრდა ტექნიკური კადრების აღზრდის საქმეში. იგი იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, პოლიტექნიკური ინსტიტუტის, თბილისის სამხატვრო აკადემიისა და სამშენებელო ტექნიკუმის ერთ-ერთი პირველი ლექტორი, ასევე საქართველოს ტექნიკური საზოგადოების ერთ-ერთი დამაარსებელი და მისი პირველი თავმჯდომარე.

55 წლის ნაყოფიერი საინჟინრო-საზოგადოებრივი და პედაგოგიური მოღვაწეობის პერიოდში გ. ზ. ქურდიანმა გამოსცა მთელი რიგი კაპიტალური შრომები. მის კალამს ეკუთვნის ჰიდროტექნიკაში პირველი ქართული სახელმძღვანელო და მრავალი სხვა ნაშრომი.

საქართველოს სსრ მთავრობამ მაღალი შეფასება მისცა გ. ზ. ქურდიანის მოღვაწეობას. 1944 წელს მას მიენიჭა საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება.

სამშობლოს მგზნებარე პატრიოტისა და დაუღალავი მშენებლის გრიგოლ ქურდიანის ნათელი ხსოვნა დიდხანს დარჩება ჩვენს გულში.

ამხანაგების ჯგუფი.

ქრონიკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ დანიშნა:

ამხ. გ. ხ. ქობულია — საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის მინისტრის პირველ მოადგილედ;

ამხ. ა. ა. გაბუნია — საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის მინისტრის მოადგილედ.

ამხ. გ. ა. ნიშნიანიძე — გაათავისუფლა საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის მინისტრის მოადგილის თანამდებობიდან სხვა სამუშაოზე მისი გადაყვანის გამო.

რედაქტორი გ. ფირცხალავა.

მშვიდობის მსოფლიო საბჭოს სესიაზე

კოლომბო, 13 ივნისი. (საკდესის სპეც. კორ.). დღეს დილიდანვე მშვიდობის მსოფლიო საბჭოს სესია კვლავ შეიკრიბა პლენარულ სხდომაზე. სესიის ტრიბუნიდან სიტყვები წარმოთქვეს რუმინეთის, ირლანდიის, ტუნისის, ისლანდიის, არგენტინის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, საფრანგეთის, პაკისტანისა და მთელი რიგი სხვა ქვეყნების მშვიდობის მომხრეთა წარმომადგენლებმა. ყველა გამოსულმა აღნიშნა, თუ რა საფრთხეს უქმნის კაცობრიობას განუწყვეტელი გამალებული ჩვეულებრივი და ატომგულის შეიარაღება, ატომგულის ექსპერიმენტული აფეთქებანი და ომის აშკარა პროპაგანდა, რასაც ეწევიან ამერიკისა და დასავლეთ ევროპის აგრესიული წრეების ზოგიერთი წარმომადგენელნი. ბევრმა დელეგატმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ხალხებმა უშუალოდ ომის საფრთხის წინააღმდეგ ბრძოლასთან ერთად მტკვრის შესართავამდე, 6 ბექტარამდე ფართობი უჭირავს. მას მდინარე მტკვრის მხრიდან აკრავს ბუნებრივი ჭალა, რაც კიდევ უფრო ლამაზსა და მიმზიდველს ხდის ამ ადგილს.

პარკის სილამაზე შესვლისთანავე იგრძნობა. ნეკერჩხლების ცენტრალური ხეივანი მიემართება სილრმეში. აქეთ-იქეთ კიბეს და ახვალთ მშვენიერ პატარა მოედანზე, რომელიც დეკორაციული მცენარეების ცოცხალი ღობით არის გარშემორტყმული. აქედან იწყება დაბურული ტყე არაჩვეულებრივად ლამაზი მცენარეებით. ამ ტყეში ფერდობებზე მრავალი ხეივანი, გზები და ბილიკებია. შეგიძლიათ დაისვენოთ ხეების ჩრდილში, ისუნთქოთ სუფთა, სურნელოვანი ჰაერი.

მდიდარია პარკის ფლორა, ბევრია ნაძვი, ფიჭვი, კედარი, კვიპაროსი, ტუია, იასამანი, აკაცია, თუთის ხე, ნუში, ატამი, ნეკერჩხალი, აკაკის ხე, ჭანდრები, უზარმაზარი ალვისა და კაკლის ხეები, ცაცხვები და ვერხვები, ცხენის წაბლი, იუდას ხე, იაპონური კომში, ეასმინი, პირეია, პალმა, ხვიანა და მრავალი სხვ., სულ 7.700 ძირი ხე და ბუჩქი. ყველა ესენი ისეა განლაგებული, რომ ბუნებრივი ტყე გეგოგრაფიულ ბაზა ხდება. იქმნება უთანხმოება და განხეთქილება არაბთა ქვეყნებს შორის. დელეგატთა ტაშის გრიალში, მუსლიმ განაცხადა: „ვინც უნდა იყოს აგრესორი, იგი დაგმობილ უნდა იქნას. ყველამ, ვინც ნამდვილად იცავს მშვიდობას, მკვეთრად უნდა დაგმოს კოლონიალიზმი და იმპერიალიზმი“. მან შემდეგ განაცხადა, რომ არაბთა ქვეყნები უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებენ მშვიდობის მსოფლიო საბჭოს კოლომბოს სესიას, რამდენადაც ეს სესია პირველი კონფერენციაა მშვიდობის დასაცავად ეგვიპტის წინააღმდეგ აგრესიის ჩაშლის შემდეგ.

ეგვიპტის წინააღმდეგ აგრესიის მარცხი, თქვა მუსლიმ, მოწმობს, რომ მშვიდობის დარაზმულ ძალებს შეუძლიათ დაამარცხონ ომის წაეული ძალები.

ხაზგასმით აღნიშნა რა, რომ სირია ახლა კოლონიალისტების ძირგამომთხრელი საქმიანობის უშუალო ობიექტია, მუსლიმ დელეგატებს აღუთქვა, რომ სირია მტკიცედ დაიცავს დამოუკიდებლობისა და ნეიტრალიტეტის პოლიტიკას ბანდუნგის სულისკვეთებით.

სესიის მონაწილეებმა უდიდესი ყურადღებით მოისმინეს რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის დელეგატის კრუტიცისა და კოლომნის მიტროპოლიტის ნიკოლოზის სიტყვა.

დღის მეორე ნახევარში მშვიდობის მსოფლიო საბჭოს სესიის დელეგატებმა მოისმინეს წინასწარი საანგარიშო მოხსენებანი მშვიდობისათვის ბრძოლის კონკრეტულ საკითხთა განსახილველად შექმნილი კომისიების მუშაობის შესახებ.

პირველი კომისიის დავალებით დელეგატმა ჟ. ლაფიტმა სესიას აცნობა, როგორ მიმდინარეობდა დისკუსია განიარაღებისა და ატომგულის იარაღის და მისი გამოცდის აკრძალვის საკითხებზე. ლაფიტმა აღნიშნა, რომ კომისიების წევრები შეთანხმდნენ იმის შესახებ, თუ რა საკითხებზე უნდა იქნას მიღებული გადაწყვეტილებანი და განისაზღვროს ბრძოლის კონკრეტული გეგმა.

ალეპო მონტეგიუმ თავის გამოსვლაში აღნიშნა, რომ კომისიების სხდომებზე გამოსულთა უმრავლესობამ გაიოლქრა ძალის პოლიტიკის წინააღმდეგ და მოითხოვა მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპების დაცვა, აგრეთვე ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისათვის მიაი კანონიერი ადგილის მიცემა გაერთიანებულ ერების ორგანიზაციაში.

კომისიების მოხსენებათა შემდეგ სესიის მონაწილეებმა დაიწყეს საერთო დისკუსია.

ბირმის დელეგატმა უ მიო მინტმა თავის გამოსვლაში გააკრიტიკა ახალი ფორმების ძალით თავსმოხვევის ამერიკული გეგმები.

სესიის მონაწილეებმა დიდი ყურადღებით მოისმინეს ლიბანის დელეგატის სეჯანის განცხადება. მან მკაცრად დაგმო ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტური მანევრები ახლო და შუა აღმოსავლეთში.

აგრესიამ ეგვიპტის წინააღმდეგ, განაცხადა სეჯანმა, კიდევ უფრო მკაფიოდ დაანახვა არაბებს, ვინ არის მათი ნამდვილი მეგობარი და ვინ მტერი.

სესიის მონაწილენი მქუხარე ტაშით შეხვდნენ თავმჯდომარის ა. ე. კორნეიჩუკის ცნობას იმის შესახებ, რომ სესიაზე ჩამოვიდნენ ეგვიპტის მშვიდობის მომხრენი.

ამერიკის აგრესიული პოლიტიკა გააკრიტიკა ახაისა და ევროპის ქვეყნების ბევრმა წარმომადგენელმა. მათ დაგმეს აგრეთვე მოქმედება ინგლისელი და ფრანგი კოლონიზატორებისა, რომლებიც ცდილობენ იარაღის ძალით დაიმორჩილონ აზიისა და აფრიკის ამოძრავებული ხალხები.

მთელმა რიგმა დელეგატებმა თავიანთ გამოსვლებში ილაპარაკეს ევროპის მშვიდობიანი მოწესრიგების პრობლემებზე.

მშრომელთა დასასვენებელი ადგილები

პარკი მტკვრის პირას

ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის ერთ-ერთი ულამაზესი ადგილია სტალინის სახელობის ხანაპირო თავისი კოხტა მოაჯიჯით, ჭანდრების ხეივნებით, ამწვანებული ბექობებით. ამ ხანაპიროზე, სახელმწიფო ცირკის ტერიტორიის აღმოსავლეთით მდებარეობს ერთ-ერთი თვალწარმტაცი პარკი, რომელიც ჩვენს მომავალს — ახალგაზრდობას ეკუთვნის. ეს არის ფიზკულტურელთა პარკი — ჭაბუკებისა და ქალიშვილების საყვარელი დასასვენებელი და სამეცადინო ადგილი.

პარკს, რომელიც გადაჭიმულია მტკვრის ნაპირას ჩელიუსკინელების ხიდიდან მდინარე ვერისა და მტკვრის შესართავამდე, 6 ბექტარამდე ფართობი უჭირავს. მას მდინარე მტკვრის მხრიდან აკრავს ბუნებრივი ჭალა, რაც კიდევ უფრო ლამაზსა და მიმზიდველს ხდის ამ ადგილს.

პარკის სილამაზე შესვლისთანავე იგრძნობა. ნეკერჩხლების ცენტრალური ხეივანი მიემართება სილრმეში. აქეთ-იქეთ კიბეს და ახვალთ მშვენიერ პატარა მოედანზე, რომელიც დეკორაციული მცენარეების ცოცხალი ღობით არის გარშემორტყმული. აქედან იწყება დაბურული ტყე არაჩვეულებრივად ლამაზი მცენარეებით. ამ ტყეში ფერდობებზე მრავალი ხეივანი, გზები და ბილიკებია. შეგიძლიათ დაისვენოთ ხეების ჩრდილში, ისუნთქოთ სუფთა, სურნელოვანი ჰაერი.

მდიდარია პარკის ფლორა, ბევრია ნაძვი, ფიჭვი, კედარი, კვიპაროსი, ტუია, იასამანი, აკაცია, თუთის ხე, ნუში, ატამი, ნეკერჩხალი, აკაკის ხე, ჭანდრები, უზარმაზარი ალვისა და კაკლის ხეები, ცაცხვები და ვერხვები, ცხენის წაბლი, იუდას ხე, იაპონური კომში, ეასმინი, პირეია, პალმა, ხვიანა და მრავალი სხვ., სულ 7.700 ძირი ხე და ბუჩქი. ყველა ესენი ისეა განლაგებული, რომ ბუნებრივი ტყე გეგოგრაფიულ ბაზა ხდება. იქმნება უთანხმოება და განხეთქილება არაბთა ქვეყნებს შორის. დელეგატთა ტაშის გრიალში, მუსლიმ განაცხადა: „ვინც უნდა იყოს აგრესორი, იგი დაგმობილ უნდა იქნას. ყველამ, ვინც ნამდვილად იცავს მშვიდობას, მკვეთრად უნდა დაგმოს კოლონიალიზმი და იმპერიალიზმი“. მან შემდეგ განაცხადა, რომ არაბთა ქვეყნები უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებენ მშვიდობის მსოფლიო საბჭოს კოლომბოს სესიას, რამდენადაც ეს სესია პირველი კონფერენციაა მშვიდობის დასაცავად ეგვიპტის წინააღმდეგ აგრესიის ჩაშლის შემდეგ.

ეგვიპტის წინააღმდეგ აგრესიის მარცხი, თქვა მუსლიმ, მოწმობს, რომ მშვიდობის დარაზმულ ძალებს შეუძლიათ დაამარცხონ ომის წაეული ძალები.

ხაზგასმით აღნიშნა რა, რომ სირია ახლა კოლონიალისტების ძირგამომთხრელი საქმიანობის უშუალო ობიექტია, მუსლიმ დელეგატებს აღუთქვა, რომ სირია მტკიცედ დაიცავს დამოუკიდებლობისა და ნეიტრალიტეტის პოლიტიკას ბანდუნგის სულისკვეთებით.

სესიის მონაწილეებმა უდიდესი ყურადღებით მოისმინეს რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის დელეგატის კრუტიცისა და კოლომნის მიტროპოლიტის ნიკოლოზის სიტყვა.

დღის მეორე ნახევარში მშვიდობის მსოფლიო საბჭოს სესიის დელეგატებმა მოისმინეს წინასწარი საანგარიშო მოხსენებანი მშვიდობისათვის ბრძოლის კონკრეტულ საკითხთა განსახილველად შექმნილი კომისიების მუშაობის შესახებ.

პირველი კომისიის დავალებით დელეგატმა ჟ. ლაფიტმა სესიას აცნობა, როგორ მიმდინარეობდა დისკუსია განიარაღებისა და ატომგულის იარაღის და მისი გამოცდის აკრძალვის საკითხებზე. ლაფიტმა აღნიშნა, რომ კომისიების წევრები შეთანხმდნენ იმის შესახებ, თუ რა საკითხებზე უნდა იქნას მიღებული გადაწყვეტილებანი და განისაზღვროს ბრძოლის კონკრეტული გეგმა.

ალეპო მონტეგიუმ თავის გამოსვლაში აღნიშნა, რომ კომისიების სხდომებზე გამოსულთა უმრავლესობამ გაიოლქრა ძალის პოლიტიკის წინააღმდეგ და მოითხოვა მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპების დაცვა, აგრეთვე ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისათვის მიაი კანონიერი ადგილის მიცემა გაერთიანებულ ერების ორგანიზაციაში.

კომისიების მოხსენებათა შემდეგ სესიის მონაწილეებმა დაიწყეს საერთო დისკუსია.

ბირმის დელეგატმა უ მიო მინტმა თავის გამოსვლაში გააკრიტიკა ახალი ფორმების ძალით თავსმოხვევის ამერიკული გეგმები.

სესიის მონაწილეებმა დიდი ყურადღებით მოისმინეს ლიბანის დელეგატის სეჯანის განცხადება. მან მკაცრად დაგმო ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტური მანევრები ახლო და შუა აღმოსავლეთში.

აგრესიამ ეგვიპტის წინააღმდეგ, განაცხადა სეჯანმა, კიდევ უფრო მკაფიოდ დაანახვა არაბებს, ვინ არის მათი ნამდვილი მეგობარი და ვინ მტერი.

სესიის მონაწილენი მქუხარე ტაშით შეხვდნენ თავმჯდომარის ა. ე. კორნეიჩუკის ცნობას იმის შესახებ, რომ სესიაზე ჩამოვიდნენ ეგვიპტის მშვიდობის მომხრენი.

ამერიკის აგრესიული პოლიტიკა გააკრიტიკა ახაისა და ევროპის ქვეყნების ბევრმა წარმომადგენელმა. მათ დაგმეს აგრეთვე მოქმედება ინგლისელი და ფრანგი კოლონიზატორებისა, რომლებიც ცდილობენ იარაღის ძალით დაიმორჩილონ აზიისა და აფრიკის ამოძრავებული ხალხები.

მთელმა რიგმა დელეგატებმა თავიანთ გამოსვლებში ილაპარაკეს ევროპის მშვიდობიანი მოწესრიგების პრობლემებზე.

სურათზე: ფიზკულტურელთა პარკის ცენტრალურ ხეივანში.

ფოტო შ. გოქაძისა.

ე. მამალაძე.

დღეს

თბილისის თეატრებში

ოპერისა და ბალეტის — დაისი, რუსთაველის სახელობის — გლახის ნაამბობი, მარჯანიშვილის სახელობის — მეფე ერეკლე, **მუსიკალური კომედიის** — საყვარელი დისშვილი, **ფილარმონია** — საესტრადო-მუსიკალური მიმოხილვა (საზაფხულო თეატრი, 9 ს.).

კინოთეატრებში

რუსთაველის სახელობის, ოქტომბერი (საზამთრო), **პლეხანოვის სახელობის კლუბი** — მუსიკა მარსიდან, **ამირანი** (საზამთრო) — ილია მურომეცი, **ამირანი** (საზაფხულო) — ქალიშვილები ესპანეთის მოედნიდან, **ფილარმონიის ბაღი,** **ყაზბეგი, კიროვის სახელობის პარკი** — ახალი მხატვრული ფილმი, **ახანი** (საზამთრო), **26 კომისრის სახელობის** (საზაფხულო) — ორნი ერთა უბნიდან, **ახანი** (საზაფხულო) — ჩემი პატარა მეგობარი, **სპარტაკი, თბილისი, კოლხიდა** (საზამთრო), **გორკის სახელობის კულტურის სახლი, ორჯონიკიძის სახელობის პარკი** — პროცესი სამ მილიონზე, **კომკავშირელი, საქართველო** (წითელი დარბაზი) — ნაცნობობა, **26 კომისრის სახელობის** (საზამთრო) — კოტოვსკი, **საქართველო** (მწვანე დარბაზი) — ტორეოკელი თერძი, **კოლხიდა** (საზაფხულო) — ჩელკაში, **გუნდის მომღერალი, მდგმური, ვოროშილოვის სახელობის კლუბი** — დაკარგული სამოთხე, **ოფიცერთა სახლი** — ეკატერინე ვოროონინა, **ძერჟინსკის სახელობის კლუბი, სარეწაო კოოპერაციის კულტურის ცენტრალური სახლი** — განუმეორებელი გაზაფხული, **კოლმეურნე** — სატანკო ბრიგადა, **დიდუბე** (საზამთრო) — მე ვიტყვი სიმართლეს, **დიდუბე** (საზაფხულო) — მღერის ივ მონტანი, **კომუნარების ბაღი** — ის თუ არა ეს, **ვაკის პარკი** — ისინი ჩამოვიდნენ მთიდან, **ქრონიკა** — ეურნალი „საბჭოთა საქართველო“ № 17.

ტელეგადაცემათა პროგრამა

15 ივნისისათვის

20.00 — გადაცემა „ქართული ცხენოსნები ინგლისსა და ამერიკაში“. 20.15 — მხატვრული ფილმი „ქუხილის ბილიკებით“. 21.45 — სატელევიზიო ეურნალი „მუსიკა“ № 3.

ქუთაისის ალ. წულუკიძის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის დაუსწრებელი გა